პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი სამშაბათი 31 ივლისი № 176 (17521) ფასი 2 კაპ.

## საქმეები გამოარჩინა •• პლანტაციებსა და ზვრებში



ეს დღეები სოფლად მეტად საშურია — ჩაის პლანტაციებში, მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში, მეცხოველეობის ფერმებში გამრჯე ადამიანები წარმატებას წარმატებაზე აღწევენ, ქმნიან სოფლის ბარაქასა და დოვლათს. მათ კარგად იციან, რომ ზაფხული გადამწყვეტია ჭირნახულის დასაბინავებლად, რომ არ უნდა დავკარგოთ არც ერთი კილოგრამი ჩაის ფოთოლი, არც ერთი მარცვალი პურეული, რომ პირუტყვს შევუქმნათ საკვების საკმაოზე მეტი მარაგი, რომ ბაღ-ვენახებს არ მოვაკლოთ ყურადღება და გამრჯე კაცის მარჯვენა.

ჩაის პლანტაციებს შესანიშნავად უვლიან ხობის რაიონის ახალი ხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეები. ამ კოლმეურნეობის მეჩაიემ, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ეთერ ლურწკაიამ წელს უხვი მოსავლის მიღებით თავი გამოიჩინა და ნაცვლად 3,5 ტონისა, უკვე მოკრიფა 4,5 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. სეზონის ბოლომდე 2,5 ტონას კიდევ მოკრეფს. ასეთია გამრჯე მეჩაიის სიტყვა.

ხუთწლედის მეოთხე წელს ყურძნის უხვი მოსავლის მისაღებად ძალ-ღონეს არ ზოგავენ თერჯოლის რაიონის მევენახეები, ვაზს წამლავენ, ზედმეტ ქირქას აცლიან და წვერებს აწყვეტენ, რომ მტევნები უფრო გაივსოს, დამსხვილდეს, რომ იმატოს ზვრების ბარაქამ. ეწრის კოლმეურნეობას 144 ჰექტარი ვენახი კარგად აქვს მოვლილი. წელს 104 ჰექტარიდან უხვ მოსავალს მოელიან. ვენახების მოვლა-პატრონობით თავი გამოიჩინა მექანიზატორმა მურთაზ კობახიძემ.



სურათებზე: ჩაის ფოთოლს კრეფს ე. ლურწკაია; ქვემოთ — მექანიზატორი მ. კობახიძე.

ვ. ბენბიურისა და ო. ბერეჩიკიძის ფოტო.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# პასუხი ვაგებინოთ საზოგადოებრივი საკუთრების დატაცებისათვის

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის კოლმეურნეობაში ნათესების განზრახ მოსპობისა და საზოგადოებრივი საკუთრების დატაცების ფაქტები და ამ საკითხზე მიიღო დადგენილება.**

ამა წლის 11 ივლისს ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის კოლმეურნეობაში საკოლმეურნეო მინდვრიდან მოიპარეს 5.500 კილოგრამი საზამთრო.

გამოირკვა, რომ სოფელ ცოდნისკარის მცხოვრებლებს შ. ბატიაშვილსა და ნ. შეყლაშვილს [illegible]

[illegible] ნიზაციის მდივანმა ვ. ხარაიშვილმა, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ პარტიის რაიკომმა დაავალა, დრო ვერ გამონახა იმისათვის, რომ დაენახა გადახნული კოლმეურნეობის მინდორი, და ეს თავის მოადგილეს დაავალა. შემდგომში მან შეფასება არ მისცა [illegible]

[illegible] შემდგომი ყოფნის შესაძლებლობის საკითხი.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის პარტორგანიზაციის მდივანი ვ. ხარაიშვილი მოხსნილია სამუშაოდან, გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით იმის გამო, რომ ვერ გამოიჩინა პარტიული სიფხიზლე, თითქმის დანაშაულებრივი გულგრილობით მოეკიდა საკოლმეურნეო დოვლათის დატაცების ფაქტებს.

ლაგოდეხის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს უფროსი გ. ცქიფურიშვილი მოხსნილია სამუშაოდან უმოქმედობისათვის, რაც იმით გამოიხატა, რომ მან რაიო- [illegible]

[illegible] ნათესების განზრახ გაფუჭების ფაქტი, არამედ, როცა შრომისუნარსმოკლებულ ადამიანს მიწის ახალ ნაკვეთს აძლევდა, ამით დამნაშავეთა ჯგუფს ხელს უწყობდა მათი მიზნების განხორციელებაში. უფრო მეტიც, შინაგან საქმეთა ორგანოებს აცნობა, თითქოს შ. ბატიაშვილს აენაზღაურებინოს ზარალი და სთხოვდა არ მიეცათ იგი პასუხისგებაში.

სრული უმოქმედობა და დოყლაპიობა გამოიჩინა პარტორგა- [illegible]

[illegible] ურნეობაში ჩაშალა სახელმწიფო დისციპლინა, ფაქტიურად ხელს უწყობდა დანაშაულებრივ პირებს პირადი მოგების მიზნით საკოლმეურნეო მიწების გამოყენებაში, აგრეთვე არ გამოიჩინა გულწრფელობა შექმნილი სიტუაციის შეფასებაში, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. გოზალიშვილი გარიცხულია სკკპ რიგებიდან. საკოლმეურნეო კრებას რჩევა მიეცა განიხილოს გამგეობის თავმჯდომარის პოსტზე მისი [illegible]

[illegible] ლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს რჩევა მიეცათ იხელმძღვანელონ ამ დადგენილებით პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის ღონისძიებათა შემუშავების დროს.

(საქინფორმი).

## ხუთწლედი. შეჯიბრება

# დამკვრელურად, ხარისხიანად!

### ვადამდე შეასრულეს

**თბილისი.** („კომუნისტის“ საკ. კორ.). წლის დამდეგიდანვე ნაყოფიერი შრომით თვალსაჩინო მაჩვენებლებს აღწევს დედაქალაქის კომუნისტური შრომის საწარმოს — კერამიკის კომბინატის (დირექტორი — თ. აგლაძე) კოლექტივი. მან სამშობლოს ვადაზე ოთხი დღით ადრე უპატაკა როგორც პროდუქციის გამოშვების, ისე მისი რეალიზაციის იანვარ-ივლისის დავალების შესრულება. თვის ბოლომდე დარჩენილი დღეების ანგარიშში კერამიკოსებმა დამატებით უკვე გაასაღეს 45 ათასი მანეთის პროდუქცია.

[illegible] მშრომელებმა დამატებით გამოუშვეს 110 ათასი მანეთის ნაწარმი. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პროდუქციის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას.

### მომხმარებელი კმაყოფილია

**თბილისის** ტრიკოტაჟის სპორტნაწარმის ფაბრიკა „დინამოს“ (დირექტორი — ა. ლობჟანიძე) მიერ გამოშვებული ოცდათვრამეტი სახეობის პროდუქციიდან თექვსმეტს მოსკოვის XXII ოლიმპიური ასპარეზობის სიმბოლო ამშვენებს. მომხმარებელს განსაკუთრებით მოსწონს შალნარევი და ბამბის სპორტული სავარჯიშო კოსტიუმები, შარვლები და ქურთუკები. მეტრიკოტაჟეთა მთელი პროდუქციის მესამედს აქ საბავშვო ასორტიმენტი შეადგენს, რომლის წარმოებასაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

[illegible] ყველა მაჩვენებლის მიხედვით. ფეიქრებმა, როგორც წინა თვეში, ამჯერადაც ვადაზე ადრე უპატაკეს სამშობლოს ხუთწლედის მეოთხე წლის იანვარ-ივლისის დავალებათა წარმატებით შესრულება. („კომუნისტის“ კორ.).

## სუსხიანი სტრიქონები

# კარი ბევრია, საქმე კი არ იძვრის

**იზრდება,** ლამაზდება ქობულეთი. იზრდება დამსვენებელთა რიცხვიც ამ კურორტზე. მაგრამ საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო, უნდა ითქვას, ერთ ადგილს ტკეპნის.

...გასაკვირავებელი პუნქტი ზღვის ნაპირთან მიყუჟულა. იუსუფ ევგენიძე გვიჩვენებს თავის მეურნეობას — ულამაზო ოთახი, სადაც დამსვენებლების განკარგულებაშია რამდენიმე გასაშლელი სკამი, გაცვეთილი საპლაჟე საფენი, გაჭუჭული გასაბერი ლეიბი, ბინძური, ძონძებად ქცეული მზის ქოლგები და საპლაჟე ფეხსაცმელი... უსიამოვნო სურათი წარმოგვიდგა თვალწინ. და იქნებ იმიტომ, რომ ეს შთა- [illegible]

გვითხრეს მათ — ეს სევერიან ფოფხაძეა.

ძლივს მოვძებნეთ მისი „სალონი“ — პატარა, შეუკეთებელი ფარღალალა ჯიხური. პარიკმახერს მაინცდამაინც სუფთა ხალათი არ ეცვა. არც ხელსახოცები გამოირჩეოდა სისუფთავით, რომლებითაც ოსტატი კლიენტებს გაპარსვის შემდეგ კომპრესს უკეთებს.

პარიკმახერი საყოფაცხოვრებო [illegible]

შემოგვეხვივნენ, საუბარში ჩაერივნენ, ახალგაზრდა ქალმა დაიჩივლა:

— სამი ბავშვი მყავს. ზოგჯერ მათი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეკეთება, ან ახალი ტანსაცმლის შეკერვა დამჭირდება ხოლმე. მაგრამ ვის მივმართო?

— სწორია, — საუბარში ჩაერია მისი მეგობარი. — საზამთროდ პალტო მაქვს შესაკერი, მაგრამ [illegible]

ქალაქო და რაიონულ საწარმოო სამმართველოებად და მაშინ ნახეთო....

მაგრამ რა სახელიც უნდა ერქვას საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიონულ რგოლს, სოფლად კვლავ მოთხოვნილებაა ისეთი სახეობის სერვისზე რომელიც სპეციალიზაციით არ არის გათვალისწინებული. ადამიანებს კვლავინდებურად დასჭირდებათ ფეხსაცმლის შეკეთება, გაკრეჭა, გაქირავებით სარგებლობა. სოფლელ ქალს ჯერ კიდევ არ უგრძვნია სამრეცხაოს სიკეთე, თუმცა ქალაქელ ქალზე ნაკლებად დატვირთული როდია საზოგადოებრივ მეურნეობაში და შინ. და ბოლოს, საჭირო იქნება აქ ეგრეთ [illegible]

მსახურების გაუმჯობესების შესახებ, ამ დადგენილებებით სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს ევალებათ საყოფაცხოვრებო სამსახურის სტაციონარული ქსელისათვის შენობების გამოყოფა, მაგრამ ეს საქმე არ კეთდება. ავტონომიურ რესპუბლიკაში 303 სოფელია, კომპლექსური მიმღები პუნქტები კი მხოლოდ 30 სოფელს აქვს, ისინიც ნაკლებად გამოსადეგ შენობებშია განლაგებული. ცუდად შენდება გასაქირავებელი პუნქტები. სირცხვილია, მაგრამ მხოლოდ 26 ასეთი პუნქტი გვაქვს. საყოფაცხოვრებო სამსახურის ნორმალური მუშაობისათ- [illegible]

[illegible] კარგი საპარიკმახერო, სადაც გამოცდილი ოსტატი მუშაობს.

— გვყავს ასეთი ოსტატი, — [illegible]

[illegible] დიდხანს ვეძებდით საყოფაცხოვრებო სამსახურის პავილიონს. მალე ადგილობრივი მცხოვრებნი [illegible]

[illegible] წლის დამლევამდე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოები გარდაიქმნება სა- [illegible]

[illegible] საბჭომ ორჯერ მიიღო დადგენილებანი რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მო- [illegible]

[illegible] ხმარება გაუწიოს მათ.

**გ. კლებანსკი,**
საქინფორმის კორ.

## სექტემბერი შორს როდია: სასკოლო მშენებლობებზე

# შეფერხებებით

**სასიხარულოა,** რომ ბოლო წლებში ჩხოროწყუს რაიონშიც გაიშალა სამშენებლო ფრონტი, ყურადღება მიექცა სასკოლო მშენებლობას, ახმაურდა ხარაჩოები. მიმდინარე წლისათვის გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს ორი სკოლის კაპიტალური შენობა.

უთუოდ მოგეწონებათ ადგილი, რომელიც სოფელ ლესიჭინის რუსთაველის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის რვაწლიანი სკოლისათვის შეურჩევიათ. სკოლას აშენებს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ცხაკაიას № 5 საპატიო ნიშნის ორდენოსანი ტრესტის ჩხოროწყუს № 49 სამშენებლო-მექანიკური კოლონა (უფროსი გ. ჩიქოვანი). რაც აშენდა, ხარისხოვანია, წუნს ვერაფერში დასდებთ, მზად არის გადასახურავად. კარგად იშრომა მ. ლომი- [illegible]

ლივი ამწის მემანქანე ა. ქავთარაძე, რომელმაც კოლონის ხელმძღვანელობასთან ერთად დიდი შრომა გასწია აქაურ. უგზოობის პირობებში (ვერ იქნა და ვერ გადეს ხიდი აქაურ მდინარეზე) საკმაოდ მაღალ ზეგანზე ამწის დასაყენებლად. ბეჯითობენ დურგლები შ. აფაქიძე, გ. სიჭინავა, ნ. ხარბედიას მებეტონეთა ბრიგადის წევრები. ეს შენობა, რომელიც 225 ათასი მანეთი ჯდება, 250 მოსწავლისათვის არის გათვალისწინებული.

მშენებლობას აყოვნებს შეფერხებანი მასალებით მომარაგებაში. ასაშენებელია სპორტდარბაზი, ამისთვის კი 100 ათასამდე აგურია საჭირო. არც გადასა- [illegible]

დაბა ჩხოროწყუს სამხრეთით გასული წლის აგვისტოში დაიწყო საშუალო სკოლის მშენებლობა, რასაც 346 ათასი მანეთი მოხმარდება. ადგილზე ვესაუბრეთ სამუშაოთა მწარმოებელს გ. მალანიას. დაბალია მშენებლობის მექანიზაციის დონე. ერთადერთი 16-ტონიანი ამწე რახანია უმოქმედოდ არის. როგორც აქ გვითხრეს, ამწეს ახალი პატრონი გაუჩენია — ფოთისთვის გადაუციათ, მეამწე ა. კიზირია კი ქუთაისელი ყოფილა და შინ დაბრუნებულა. ასეა თუ ისე ძირითადი სამუშაოები, მათ შორის ყველაზე ძნელი — დაბეტონება კვლავინდებურად ხელით სრულდება. ამწის მოცდენა ერთი თვით სწო- [illegible]

სოფლების — ქვედა ჩხოროწყუს, კირცხისა და ახუთის კოლმეურნეები. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ ახლა ხომ სიმინდის ყანების გათოხნის დროა და ვინ იცის, რა დღეშია მათი ნაკვეთები...

სასკოლო მშენებლობათა შესახებ წინა წლებში გამოქვეყნებულ წერილებშიც იყო აღნიშნული, თუ რა უარყოფითი მხარე აქვს კარ-ფანჯრების ჩარჩოთა სტანდარტებს. ჯერ ერთი, ძნელია იმ სიმაღლის ფანჯრის მინის შოვნა, თანაც აქაური ქარების პირობებში მის გამოღებას ხიფათიც შეიძლება მოჰყვეს. ნაკლებად საიმედოა კარებიც: ძალზე თხელია ჩარჩოები, დასაკიდი კარები კი (ქუთაისის ხის დამმუშავებელი კომბინატისა) მეტად მძიმეა, ზოგიერთში მინის ჩასმაც არის გათვალისწინებული.

მშენებლობაზე უკმაყოფილება გამოითქვა იმის გამო, რომ ხშირად აკლებენ საშენ მასალებს. სამტრედიის აგურის ქარხანამ მშენებლობას აცნობა (ზედნადები № 181917, ავტომანქანის მძღოლი ვ. გონჩაროვი), რომ უგზავნის 3000 ცალ აგურს, ფაქტიურად კი აღმოჩნდა 2100. დანაკლისით მიიღეს აგური აჯამეთიდანაც.

სასკოლო მშენებლობის ბოლომდე მისაყვანად ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მაგრამ მშენებელი ორგანიზაცია — რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ქუთაისის № 4 ტრესტის ცხაკაიას № 7 სამშენებლო სამმართველო (უფროსი დ. ხუბულავა) არ ჩქარობს. სექტემბრის ზარამდე კი არც ისე დიდი დრო დარჩა. მშენებლებს ხელი უნდა შევუწყოთ და მკაცრად მოვთხოვოთ გრაფიკის დაცვა.

**ბ. მილიუტინი,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

# ფრენა გრძელდება

**ფრენის მართვის ცენტრი, 30 ივლისი.** (საქ-ტასი). 155 დღეა მუშაობენ დედამიწისირგვლივ კოსმოსურ სივრცეში ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი.

გუშინდელი დღის მეტი ნაწილი კოსმონავტებმა მიუძღვნეს ასტროფიზიკურ კვლევას, რომლებსაც ერთდროულად აწყობდენ „კრტ-10“ რადიოტელესკოპისა და ყირიმის შორეული კოსმოსური კავშირის ცენტრის 70-მეტრიანი სარკოვან-ანტენიანი სახმელეთო რადიოტელესკოპის მეშვეობით.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებისა და ეკიპაჟის მოხსენებათა თანახმად, „სალიუტ-6“ სადგურისა და „სოიუზ-34“ ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი თავს კარგად გრძნობენ.

# ჩვენი წინსვლის საწინდარი

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გ. კოლბინის თავმჯდომარეობით გაიმართა ამ კომისიის სხდომა.**

კომისიამ მოისმინა და განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების, მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების, კულტურის განყოფილების გამგეების ბ. ბარსუკოვის, ო. ივანაშვილის, ა. ალექსიძის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების, მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის, ვაჭრობისა და სა-...

...შეადგინა 81 პროცენტი. ხარისხის სახელმწიფო ნიშნით გამოშვებულია 650 მილიონი მანეთის პროდუქცია, რამაც მთლიანი პროდუქციის საერთო მოცულობის 17,7 პროცენტი შეადგინა. შესრულებულია ბევრ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის გამოშვების ვალდებულებანი.

სოფლის მშრომელებმა აგრეთვე ძალ-ღონე არ დაიშურეს ნაკისრ ვალდებულებათა უთუო შესრულებისათვის. სწრაფი ტე-...

...ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფისათვის. სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა მუდამ არის რაიონული პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში. რაიკომის ბიუროს და სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიის სხდომებზე რეგულარულად განიხილავენ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, შრომითი მეტოქეობის მოწინავეთა გამოცდილებას, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას სოციალისტური შეჯიბრების მოწყობისა და მისი ხელმძღვანელობისათვის. რაიკომის ბიუროს წევრები, სახალხო დე-...

...ვალდებულებანი წარმატებით სრულდება. წლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით წარმოებულია 57 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, პროდუქციის მატებამ შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე...

სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომი და სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რაიონული კომისია მნიშვნელოვან ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან სოციალისტურ...

...ეთ უზრუნველვყოთ შეჯიბრების საჯაროობა, ავამაღლოთ იდეოლოგიური მუშაობის დონე სოციალისტურ ვალდებულებათა უთუოდ შესასრულებლად მშრომელთა დარაზმვისათვის.

(საქინფორმი).

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიაში**

---

# გულგრილობა საქმეს ვნებს

## როცა ზოგან კომუნისტთა სამართლიან მოთხოვნებს უგულისყუროდ ეკიდებიან

**ნახევარ** წელზე მეტი გავიდა რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში გამართული საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის შემდეგ. ეს დრო სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ პირველადს პარტორგანიზაციებს ყოველმხრივ გაეანალიზებინათ საქმის გაუმჯობესების მიზნით ამ კრებებზე კომუნისტთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები, დაესახათ მათი განხორციელების კონკრეტული გზები და საშუალებები. როგორი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს ახალციხის რაიონის პირველადი პარტორგანიზაციები?

მინაძის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც გასული წლის ოქტომბერში გაიმართა, კომუნისტებმა მრავალი კრიტიკული შენიშვნა გამოთქვეს. ისინი სათანადოდ აისახა ჯერ კრების დადგენილებაში, ხოლო შემდეგ პარტიული კომიტეტისა და საუბნო პარტიული ორგანიზაციების სამუშაო გეგმებში. გარდა ამისა, მეურნეობის პარტიულმა კომიტეტმა შემოიღო მათი აღრიცხვის ჟურნალი, მკაცრი კონტროლი დაუწესდა მიღებული დადგენილების შესრულებას. ყოველივე ამის შედეგად როგორც სამეურნეო, ისე ორგანიზაციულ-პარტიულ მუშაობაში არსებული ბევრი ნაკლი დროულად გამოსწორდა.

მაგალითად, კრებაზე კომუნისტებმა გააკრიტიკეს მეურნეობის საუბნო პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ პარტიული დავალების სწორად განაწილებას. ამის შემდეგ პარ-...

...პარტორგანიზაციას — მდივანი ვ. ალავიძე) ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მართებს ამ მხრივ.

კომუნისტთა კრიტიკული შენიშვნების შემდეგ სოფელ ანდრიაწმინდის აგროგანყოფილების საუბნო პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი შ. ბერიძე) მკვეთრად გააუმჯობესა ახალგაზრდობასთან მუშაობა. თუ მანამდე აქ მთელი ორი წლის მანძილზე არც ერთი ახალგაზრდა არ მიუღიათ პარტიის რიგებში, საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ განვლილ ექვს თვეში ორი კომკავშირელი — მოწინავე მწველავები მ. და ნ. ინასარიძეები კომუნისტები გახდნენ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კარგად ორგანიზებული სოციალისტური შეჯიბრება წინსვლის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მეურნეობაში კი სოციალისტური შეჯიბრება ფორმალური იყო, რის შესახებაც კომუნისტებმა პრინციპულად ილაპარაკეს საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე...

...ლისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისთვისაც.

მომავალ წელს ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით მინაძის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყება მეცხოველეობის კომპლექსის მშენებლობა. ამ ახალ კომპლექსს, ცხადია, სპეციალისტები და კვალიფიციური მუშები დასჭირდება. ამიტომაც იყო, რომ კადრების მომზადებისა და აღზრდის მნიშვნელოვან საკითხებს დიდი ყურადღება დაუთმეს კომუნისტებმა. მათი შენიშვნების გათვალისწინებით მეურნეობის პარტიულმა კომიტეტმა და დირექციამ ამთავითვე დაიჭირეს თადარიგი. მაგალითად, მეურნეობამ ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში საკუთარი ხარჯებით გა-გზავნა ორი ახალგაზრდა, პროფტექნიკურ სასწავლებელში უკვე სწავლობს ხუთი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, — ექვსი ახალგაზრდა, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები გაიარა საშუალო რგოლის ხუთმა ხელმძღვანელმა მუშაკმა...

...ლებას გამოთქვამენ. ეს საკითხი ბევრჯერ დააყენეს რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს (უფროსი — კ. კარაპეტიანი) წინაშე, მაგრამ მისმა მუშაკებმა, იმის ნაცვლად, რომ ყურად ეღოთ მშრომელთა...

...მაგალითად, ახალციხის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე აღინიშნა, რომ სოფელ წნისში დიდი ხანია არ მუშაობს აბანო, რის გამოც მშრომელები უკმაყოფი-...

...დღემდე ისევ არ აქვს ტროტუარები. ეს დიდ საფრთხეს უქმნის ქვეითად მოსიარულეებს, განსაკუთრებით მოსწავლეებს. ასეთივე საგანგაშო მდგომარეობაა სოფელ აგარაში, სადაც რამდენიმე წლის წინათ ცენტრალურ გზაზე ბავშვი იმსხვერპლა ავტომანქანამ.

ამ ორ სოფელში ცენტრალური სამანქანო გზის გასწვრივ ქვეითად მოსიარულეთათვის სათანადო ტროტუარების მოწყობის თაობაზე ბევრჯერ დაისვა საკითხი საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ახალციხის № 39 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის წინაშე, მაგრამ მის მოგვარებას დღემდე არ იქნა და არ დაადგა საშველი.

დანაშაულებრივად ჭიანურდება აგრეთვე სოფელ კლდის აბანოს მშენებლობა, რომელიც ჯერ კიდევ 1977 წლის გაზაფხულზე დაიწყეს ახალციხის რაიონის სარემონტო-სამშენებლო კანტორის (უფროსი — შ. მინასიანი) მშენებლებმა. იმავე წელს ააშენეს კედლები და ალბათ დაამთავრებდნენ კიდეც, მაგრამ, რაიგორის სარაიონთაშორისო კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ იგი სამშენებლო გეგმაში აღარ გაითვალისწინა, მშენებლობა დღესაც შეჩერებულია...

...ნის სხვა საზოგადოებრივ მეურნეობათა და წარმოება-დაწესებულებათა პირველადი პარტორგანიზაციები. მაგრამ ყველგან ასე არ არის.

მაგალითად, სოფელ მუსხის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციაში არათუ ზრუნავენ კომუნისტთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების განხორციელებისათვის, აღრიცხულიც კი არ აქვთ ისინი. უფრო მეტიც: საანგარიშო-საარჩევნო კრებიდან შვიდი თვის შემდეგაც კი აქ ისევ არ ჰქონდათ გაფორმებული მისი...

...ერთიანებული ორი სასოფლო საბჭოს 10 სოფლიდან ცხრა სოფელში არ არის არც ერთი სახეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი. ეს კრიტიკა აღნიშნული სასოფლო საბჭოებისა და მეურნეობის ხელმძღვანელებსაც ეხებათ, მაგრამ მათ გულთან ახლოს არ მიაქვთ მშრომელთა სატკივარი, განმკითხავი კი არავინ ჩანს.

სოფელ წნისის მოსახლეობას მეტად აწუხებს ის ვითარებაც, რომ აქ გამავალ თბილის-ახალციხის ცენტრალურ სამანქანო გზას...

...განიზაციის იმ ვაი-ხელმძღვანელებს, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან მშრომელთა სამართლიან მოთხოვნებს. საჭიროა ყველგან და ყველაფერში შეიქმნას ისეთი ვითარება, რომ საქმის გაუმჯობესების, უკეთ მუშაობის მიზნით პარტიულ კრებებზე კომუნისტთა მიერ გამოთქმული არც ერთი კრიტიკული შენიშვნა თუ წინადადება არ დარჩეს უყურადღებოდ.

**შ. მაისურაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

---

# პარტიული ცხოვრება: ვამოწმებთ შესრულებას

---

# ახდენილი ოცნება

**საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს ადგილას — მესტიის რაიონის სოფელ უშგულში, სადაც უამრავი ტურისტი ჩადის, დაიწყო მთის ალპიური ბანაკისა და 300-ადგილიანი ტურბაზის მშენებლობა.**

უშგული შხარის მყინვარის ძირას არის გადაშლილი. იქ, სადაც სათავეს იღებს ბობოქარი ენგური. უშგული ევროპის ყველაზე მაღალმთიანი დასახლებული პუნქტია. ადგილობრივი მცხოვრებლები ხუმრობენ: აქედან მთელი მსოფლიო მოჩანსო.

უშგული სვანეთის ძველი არქიტექტურის თავისებური ძეგლია. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ საჭიროდ ჩათვალა აქ შეექმნა ნაკრძალი-მუზეუმი. მუზეუმის გვერდით ახალი დასახლება გაჩნდა.

უჩვეულო სილამაზით გამოირჩევიან ცადაზიდული ფიქალით ნაგები ძველი სვანური კოშკები. ისინი უკვე 10-12 საუკუნეა დგანან. სოფლებში ოცდაათამდე ასეთი კოშკია.

სოფლის ცენტრში შვიდი ეკლესიისაგან შემდგარი არქიტექტურული ანსამბლი აღმართულა. მათგან ყველაზე ღირსშესანიშნავია უშგულის ღვთისმშობლის ეკლესია, თავისი უნიკალური ოსტატობით შესრულებული ფრესკებით, ძვირფასი ქვებით მოჭედილი ჭედური ხატებით.

დღევანდელი უშგული სრულიად არ ჰგავს ძველს. აქაურების ყოფა ბევრი არაფრით განსხვავდება ქალაქური ყოფისაგან. უშგულში აქვთ საშუალო და მუსიკალური სკოლები, მასწავლებლის სახლი, კლუბი-ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციული სახლი, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების პავილიონი, საავადმყოფო, სასადილო, მაღაზია.

სოფლად ძნელად თუ იპოვით ოჯახს, დიპლომიანი სპეციალისტი რომ არ ჰყავდეს. მაგალითად, ონისიმე ნიჟარაძის ოთხმა შვილმა წარმატებით დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და მშობლიურ სოფელში მუშაობს. უშგულში სამოცამდე სპეციალისტია უმაღლესი განათლებით.

სოფელს სახელოვანი რევოლუციური წარსული აქვს. საუკუნის გარიჟრაჟზე აქაური გლეხები იარაღით ხელში აღდგნენ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ისინი იბრძოდნენ თავიანთი შვილების ბედნიერი მომავლისათვის. დღევანდელი სინამდვილე მათი ახდენილი ოცნებაა.

**დ. ბიწაძე.**

# მომსახურების სიახლენი

**ტყიბული** (საკ. კორ.). ბოლო ხანებში აქ მომსახურების მრავალი ახალი ფორმა დაინერგა. გაბრიაძის ქუჩაზე გაიხსნა მამაკაცთა სალონი. ქალაქის მოსახლეობისათვის კარგი შენაძენია ინდივიდუალური ქსოვისა და ლითონმჭანდაკებლობის სახელოსნოები. მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა უკეთ მომსახურების მიზნით დამონტაჟდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სარეცხ-საპოხი სადგური.

გელათის მახლობლად დაიდგა ტიპობრივი პროექტით აგებული პავილიონი. აქ ტურისტებსა და ექსკურსანტებს საშუალება ექნებათ შეიძინონ სუვენირები, ტრიკოტაჟის ნაწარმი და მომინანქრებული ჭიქები.

**ვ. ცირეკიძე.**

# გმირული შრომის სიმბოლო

**დამთავრდა** ენგურჰესის გმირი მშენებლებისადმი მიძღვნილი ძეგლის პროექტების კონკურსი. ჟიურიმ, ცნობილი მხატვრებისა და მოქანდაკეების შემადგენლობით, გამარჯვებულად ცნო პროექტი მონუმენტისა, რომლის ავტორები არიან მოქანდაკეები გურამ ქაჯაია და გიმერ დარჩია, ხოლო არქიტექტორები — გივი მეტრეველი, თემურ დიასამიძე და ზურაბ ერისთავი.

მონუმენტი დაიდგმება ზუგდიდში, მოედანზე, საიდანაც იწყება ენგურჰესის გზა.

# „კომუნისტს" უპასუხებს

## კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

**საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომი**

**წერილში — „მოძრაობა 4 საათზე შეჩერდა" მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.**

**1979 წლის 24 აპრილს აბაშის რაიონის სოფელ მარნის მკვიდრმა ზაურ ბიქტორის ძე დუნდუამ მთვრალმა ამავე სოფლის კოლმეურნეობის გარაჟიდან დროებით გამოყენების მიზნით გაიტაცა ავტომანქანა და ქ. სამტრედიაში დააჯახა რკინიგზის კავშირგაბმულობის ბოძს, რის გამოც მოძრაობა ოთხი საათით შეწყდა.**

**ზ. დუნდუამ რკინიგზას მიაყენა 2886 მანეთი, ხოლო მარნის კოლმეურნეობას 557 მანეთი ზარალი.**

**ზ. დუნდუა მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში და დაპატიმრებულია. საქმეს იძიებს სამტრედიის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილება.**

---

# კვალიფიციურად მივუდგეთ ეკონომიკის პრობლემებს

**სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ „საქსამთოქიმმრეწვის" საწარმოო გაერთიანება (გენერალური დირექტორი — ნ. ცხაკაია) დარგის მოწინავე გამოცდილების სკოლად აღიარა. ყველა გაერთიანებისა და ცალკეულ საწარმოთა ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები „საქსამთოქიმმრეწვის" გაერთიანების მუშაობის გამოცდილების დასანერგად.**

**გაერთიანების კოლექტივმა მიმდინარე ხუთწლედის ოთხი წლის მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა ვადამდე, 28 ივნისისათვის შეასრულა. დავალება რეალიზებულია აგრეთვე სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვითაც. განსაკუთრებული წარმატებებია მოპოვებული შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში,**

**დღეს ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ მასალას იმის შესახებ, თუ რით მოიპოვეს ქართველმა სამთოელებმა ასეთი დიდი აღიარება.**

## მთავარი მიმართულება

**ალბათ ბევრ** ჩვენგანს, როცა გაერთიანებაზე გვაქვს საუბარი, იგი წარმოუდგენია ერთ ტერიტორიაზე განლაგებულ სამრეწველო საწარმოდ, სადაც მრავალრიცხოვანი კოლექტივი შრომობს. პირიქით, „საქსამთოქიმმრეწვის" საწარმოები ჩვენი რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზეა გაფანტული. ერთ მათგანს რაჭაში, მდინარე ლუხუნის ულამაზეს ხეობაში აქვს ბინა დადებული, მეორეს — სვანეთში, ბროლივით გამჭვირვალე მდინარე ცხენისწყლის არანაკლებ თვალწარმტაც ხეობაში, მესამე საწარმო, რომელშიც მაღაროები და გამამდიდრებელი ფაბრიკაა გაერთია-...

...ბენტონიტი. აღსანიშნავია, რომ მეავაგამძლე ანდეზიტი, რომელსაც ბაკურიანში ამუშავებენ, ქვეყნის ქიმიური მრეწველობის მოთხოვნას მთლიანად აკმაყოფილებს. „საქსამთოქიმმრეწვის" საწარმოების მიერ გამოშვებულ ზოგიერთ ნაწარმს წარმატებით იყენებენ მედიცინაშიც.

გაერთიანების აღმავლობა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის შემდეგ დაიწყო. დიახ, კომუნისტთა დიადი ფორუმის შემდეგ განხორციელდა ორგანიზაციის ცხრა საწარმოდან ექვსის მთლიანი მოდერნიზაცია, სრულყოფილი გახდა როგორც გაერთიანების მაღაროების, ქარხნებისა და ფაბრიკების, ისევე მათი აპარატის მართვის სტრუქტურა. ამის შედეგია, რომ 17 საამქრო, მაღარო და ფაბრიკა საწარმოო...

...რიტი, გუმბრინი და სხვა ქიმიური ნედლეულისაგან მიღებული კონცენტრატები გაუგზავნა ქვეყნის ქიმიურ და საავტომობილო საწარმოებს. 1977 წელს ეს ციფრი 17.392 ათას მანეთამდე გაიზარდა. შარშან ქართველმა სამთოელებმა 19.204 ათასი მანეთის პროდუქცია დაამზადეს. წელს ყველა პირობაა იმისათვის, რომ პროდუქციის წარმოების მოცულობამ 20.800 ათას მანეთს გადააჭარბოს, გაისისათვის კი 22 მილიონი მანეთის ღირებულების ქიმიური ნაწარმის მიღებას ვარაუდობენ.

## უმნიშვნელოვანესი ფაქტორი

**რასაკვირველია,** მთავარი, რამაც განაპირობა გაერთიანების წარმატება, ეს იყო საწარმოთა რეკონსტრუქცია, მათი მაღალმწარმოებლური ტექნიკით აღჭურვა, განახლებისათვის განკუთვნილი დროის გასწრებით სამუშაოთა განხორციელება. მეორე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რამაც საფუძველი ჩაუყარა კოლექტივის წარმატებებს, გაერთიანების ხელმძღვანელობის მიერ კადრების საკითხისადმი სწორი მიდგომა გახლავთ. საწარმოები დაკომპლექტებს სპეციალისტებით, რო-...

## ტექნიკური პროგრესი დროის მოთხოვნაა

...მელთა ტექნიკური ცოდნის დონე და საერთო ერუდიცია მთლიანად შეესაბამება დროის მოთხოვნებს. კადრების კომპეტენტურობა რომ არა, საეჭვო იქნებოდა სამთოელთა დღევანდელი მიღწევები, ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ გაერთიანების სპეციალისტები სწორედ რომ დღევანდელი ტექნიკური რევოლუციის შესაბამისად აზროვნებენ და არასოდეს არ...

...მუშა-მოსამსახურეთა შორის გაშლილ აღმზრდელობითს მუშაობას. განა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგი არ არის, რომ გაერთიანების საწარმოებში თითქმის აღმოიფხვრა შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის შემთხვევები! განა ბევრი საწარმოს ხელმძღვანელებს შეუძლიათ დაიკვეხონ დღეს, რომ გადაჭრეს კადრების დენადობის პრობლემა? არა! „საქსამთოქიმმრეწვის" კოლექტივისათვის ეს საკითხი მოხსნილია დღის წესრიგიდან. ამის მიღწევა ადვილი რომ არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ გაერთიანების საწარმოებში ავტომატიზაციისა და მექანიზაციის მიუღწეული მაღალი დონის მიუხედავად, სამთოელთა შრომა სხვა პროფესიებთან შედარებით დღესაც რთული რჩება. თუ იმასაც დავძენთ, რომ მუშაობის პირობები დაკავშირებულია მთელ რიგ სპეციფიკურ ტექნოლოგიურ ციკლებთან, გასაგები გახდება, რა დიდი საქმეა გაკეთებული.

## ადამიანზე ზრუნვით

**ცნობილია,** რომ სოციოლოგიური გეგმის შესრულება, უწინარეს ყოვლისა, მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესებას, საწარმოებში თანამედროვე ტექ-ნოლოგიის და უშიშროების ტექნიკის დანერგვას, აგრეთვე გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობს.

ამ მხრივ გაერთიანებაში ცოტა რამ როდი გაკეთდა. „ქუთბარიტის" და ბაკურიანის ანდეზიტის საწარმოებში საექსპლოატაციოდ გადაეცა საშრობი დოლიდან გამონაბოლქვი ჰაერის გამწმენდი მოწყობილობა. ჰაერგამწმენდი ნაგებობის მშენებლობა ახლა ცანის სამთო-ქიმიური ქარხნის დარიშხანის რაფინირების საამქროშიც დაიწყო, ხოლო მახარაძის მაღაროთსამმართველოს თიხის საფქვავ ქარხანაში მიმდინარეობს ტექნოლოგიური ხაზის რეკონსტრუქცია მტვერდაჭერის თანამედროვე სქემის გამოყენებით. უახლოეს პერიოდისათვის დანარჩენი ტექნოლოგიური ხაზების განახლებაც არის გათვალისწინებული.

ამჟამად გაერთიანებაში დასაქმებულთა ნახევარზე მეტი დაკმაყოფილებულია წარმოების ხარჯზე აშენებული კეთილმოწყობილი ბინებით, ხოლო ხუთწლედის დამლევამდე ახალმოსახლე...

...წარმოების მუშა-მოსამსახურეთა ბავშვების ჯანმრთელობა. მიმდინარე ხუთწლედის დამდეგიდან რესპუბლიკურ ბავშვთა საავადმყოფოსთან ორმხრივი ხელშეკრულება დადეს. ამ დოკუმენტის საფუძველზე განრიგის მიხედვით გაერთიანების საწარმოებში მიემგზავრებიან ექიმთა კომპლექსური ბრიგადები, რომელთა შემადგენლობაში პედიატრები, ნევროპათოლოგები, ქირურგები, სტომატოლოგები და სხვა სპეციალისტები არიან.

„საქსამთოქიმმრეწვის" კოლექტივი იმის შესანიშნავ მაგალითს იძლევა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ტექნიკურ პროგრესთან ერთად ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებები საწარმოს ეფექტიანობის ასამაღლებლად, მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

**ო. აროგელიძე,**
**შ. ამაშუკელი,**
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები,

# როცა მიზანი



# ნათელია



**სურათებზე: საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის" „საქგუმბრინის" მაღაროთსამმართველოს მოწინავე სამთოელები გ. გირგაძე და ა. ბუნია; ინჟინერ-ტექნოლოგი ნ. ჩავლეიშვილი ამოწმებენ პროდუქციას.**

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ადამიანი და გარემო ● ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# შემოვუნახოთ შთამომავლობას

## სათაფლიის ბუნების უნიკალურ ძეგლს — მეტი ყურადღება

**ბუნებისა** და მისი ძეგლების დაცვის პრობლემა ახალი არ არის. ტერმინი „ბუნების ძეგლი" პირველად 1819 წელს იხმარა გამოჩენილმა ბუნებისმეტყველმა და მოგზაურმა, თანამედროვე ფიზიკური გეოგრაფიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ალექსანდრე ჰუმბოლდტმა. იგი ბუნების ძეგლებს უწოდებდა საინტერესო კლდეებს, უძველეს ხეებს, რომელთა დაცვა და შთამომავლობისათვის შემონახვა აუცილებელ საქმედ მიაჩნდა.

ეს იყო შორეულ წარსულში, მაგრამ ახლაც კი ჩვენს მაღალგანვითარებულ საზოგადოებაში იშვიათად როდი შეხვდებით ისეთებსაც, რომლებიც არად დაგიდევთ ტყესა თუ ძეგლს.

ექსპედიციების დროს ბევრჯერ მინახავს პერანგშემოცლილი უძველესი ეკლესია და ტაძარი, რომელთა იშვიათი ჩუქურთმებიანი და წარწერებიანი ქვები ეზოების გალავნებად თუ გომურების იატაკებად ჰქონდათ გამოყენებული ადგილობრივ მცხოვრებლებს. ყოველივე ეს ბავშვთა კი არა, მოზრდილთა ნახელავია. ზოგიერთი ახალგაზრდა არად აგდებს წინაპართა სისხლით მორწყულ კედლებსა და ლოდებს, ტაძრებსა და ეკლესიებს, ციხე-დარბაზებსა და უძველეს გალავნებს. ამ რამდენიმე წლის წინათ სათაფლიის მღვიმეში მთელი თვე მუშაობდნენ ქართველი სპელეოლოგები, რათა სპეციალური საშუალებებით კედლებისა და სტალაქტიტებისათვის მოეცილებინათ 50 წლის მანძილზე დაგროვილი წარწერები, მაგრამ შეუძლებელი იყო მომტვრეული სტალაქტიტების გამთელება...

ამჯერად მკითხველის ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ ფრიად უნიკალურ ბუნების ძეგლზე, რომლის განადგურებაში უკვე ბრძო პირებს ვეღარ დავდებთ ბრალს. რა ძეგლია ეს და როგორია მისი ისტორია?

მსოფლიოში სახელგანთქმულ კურორტ წყალტუბოსა და ქუთაისს შორის არის მოქცეული სათაფლია. თანამედროვე ურბანიზაციის პირობებში ქალაქებთან ასე ახლოს ნაკრძალის არსებობა იშვიათია და იგი შეიძლება შევადაროთ კენიის ცნობილ ნაირობისა და ნაკურუს ეროვნულ პარკებსა და ნაკრძალებს.

სათაფლიის ნაკრძალი თავის არსებობას უნდა უმადლოდეს ამჟამად 90 წლის მოხუცს პეტრე ჭაბუკიანს, რომელიც ახალგაზრდობიდანვე შვილივით დატრიალებს თავს თითოეულ ხეს. მის მიერ 1925 წელს მიკვლეულ კარსტულ მღვიმესა და 1933 წელს აღმოჩენილ დინოზავრის ნაკვალევს დიდი მნიშვნელობა აქვს.

შორეულ წარსულში, 120 მილიონი წლის წინათ, დღევანდელი სათაფლიის ტერიტორია თბილი ზღვის სანაპირო ზოლს წარმოადგენდა. მის ნაპირზე უცხოვრიათ სწორედ იმ დინოზავრებს, რომლებსაც კირქვის ლამზე ჯოგებად გაუვლიათ და „სეირნობისას" ღრმა ნაკვალევი დაუტოვებიათ. დროთა განმავლობაში ეს ნაკვალევი ამოვსებულა და ასე „დაკონსერვებული" შემონახულა 1933 წლამდე, ვიდრე იგი პ. ჭაბუკიანმა არ აღმოაჩინა.

პირველი სამეცნიერო წერილი წყალტუბო-ქუთაისის მიდამოების კარსტულ მღვიმეთა შესახებ, რომელშიც დინოზავრთა ნაკვალევიც იყო ნახსენები, გამოაქვეყნეს იმ დროს ახალგაზრდა გეოლოგებმა გიორგი ძოწენიძემ და ნიკოლოზ კანდელაკმა. ამ წერილში დასმული იყო აგრეთვე ბუნების ძეგლთა დაცვის საკითხებიც. შემდეგ ცნობილი პალეონტოლოგი, აკადემიკოსი ლ. გაბუნია დეტალურად იკვლევდა დინოზავრთა ნაკვალევს და იგი სათაფლიაზავრის სახელწოდებით მონათლა. ასეთი იშვიათი ძეგლი სათუთად მოპყრობასა და დაცვას ითხოვდა. მაგრამ გავიდა ათეული წლები და ნიადაგის საფარმოცლილი ნაკვალევი თანდათან წაიშალა.

რატომ მოვექეცით ამ უნიკალურ ბუნების ძეგლს ასე უყურადღებოდ? მისი დაცვა, გადახურვა ხომ გათვალისწინებული იყო კეთილმოწყობის სამუშაოთა პროექტით, რომელიც 1962 წლიდან უნდა განხორციელებულიყო? საქმე იქამდე მივიდა, რომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ უკანასკნელი 16 წლის მანძილზე 7 დადგენილება და განკარგულება მიიღო სათაფლიის მღვიმისა და დინოზავრთა ნაკვალევის დამცველი პავილიონების აგებისა და კეთილმოწყობის სამუშაოთა შესახებ. მიზეზი ის გახლდათ, რომ მშენებლები იწუნებდნენ პროექტებს, მათ შედგენაზე კი დიდძალი თანხა იხარჯებოდა. ხელაღებით არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს სულ არაფერი არ გაკეთებულიყოს. მღვიმეში გაიყვანეს განათება, აშენდა საბჭოთა კავშირში ერთადერთი სპელეოლოგიური მუზეუმი, მოეწყო ავტოსადგომი, მაგრამ არაფერი ეშველა ნაკვალევს, ერთადერთი რომ არის ჩვენს ქვეყანაში (თუ არ ჩავთვლით შუა აზიაში აღმოჩენილ ნაკვალევს, რომელიც ძალზე მიუდგომელ ადგილას არის და ამიტომ იშვიათად ნახულობს ხალხი).

ყოველწლიურად ჩავდივართ სათაფლიის ნაკრძალში და ვხედავთ, თუ როგორ ანადგურებს წვიმა და ქარი ბუნების ამ უნიკალურ ძეგლს. დინოზავრთა ნაკვალევი, რომელმაც 120 მილიონი წელი გაძლო, ახლა უკვე ვეღარ ინარჩუნებს სრულ სახეს, ვეღარც იმ უსულგულობას უძლებს, რომელსაც ამ ძეგლის მიმართ იჩენენ. იქვე კი, სათაფლიისკენ მიმავალი გზის პირას, შესანიშნავი რესტორანი წამოუჭიმავთ. როგორც გავიგეთ, მისი აგება ზუსტად იმდენივე დაჯდა, რაც საჭირო იყო ნაკვალევის დამცველი პავილიონის ასაგებად.

დღეს პეტრე ჭაბუკიანი დინოზავრთა სანახევროდ წაშლილ ნაკვალევთან და თავისი ხელჯოხით ტურისტებს მიუთითებს: „აი, აქაც იყო ნაკვალევი, იქაც, მაგრამ..." და აი, შარშან შეიქმნა საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვის და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, რომელსაც დაევალა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე კულტურისა და ბუნების ყველა ძეგლის მოვლა-პატრონობა, დაცვა და გამოყენება. სამმართველო მონდომებით შეუდგა მუშაობას. ამ დღეებში სათაფლიის ნაკრძალში მდებარე მღვიმე, დინოზავრთა ნაკვალევი და სპელეოლოგიურ მუზეუმად გათვალისწინებული შენობა მის კომპეტენციაში გადავიდა. უკვე მოწონებულია ნაკვალევის დამცველი ახალი პავილიონის ორიგინალური პროექტი.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ შეიქმნას წყალტუბო-ქუთაისის სპელეოლოგიური კომპლექსი, რომელშიც შევა სპელეოლოგიური მუზეუმი, დინოზავრის ნაკვალევი, სათაფლიის, თეთრი და საწურბლიას მღვიმეები. ეს მღვიმეები სანახევროდ არის კეთილმოწყობილი, უნდა დაჩქარდეს მუზეუმის მუდმივი ექსპოზიციის მოწყობა, რის შემდეგ იგი საბჭოთა კავშირში პირველი, მსოფლიოში კი მე-4 ან მე-5 იქნება. აუცილებელია აგრეთვე სათაფლიის ნაკრძალისაკენ მიმავალი სამანქანო გზის გაფართოება და კეთილმოწყობა. ამ ბოლო ხანებში უსაფრთხოების მიზნით სახელმწიფო ავტოინსპექციამ აკრძალა იქ დიდი ავტობუსების მოძრაობა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ტურისტთა ნაკადი. დასავლეთ საქართველოს ბევრ ტურისტულ ბაზას და საექსკურსიო ბიუროს საშუალება არა აქვს საჩვენებელი ობიექტების სიაში ჩართოს წყალტუბოს სპელეოლოგიური კომპლექსის ღირსშესანიშნაობანი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში წყალტუბო-ქუთაისის სპელეოლოგიური კომპლექსი გააერთიანებს დასავლეთ საქართველოს სხვა შესანიშნავ მღვიმეებსაც, რომელთა კეთილმოწყობა გადაუდებელ ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება მოგვცემს ბუნების ძეგლების არა მარტო დაცვის, არამედ მათი რაციონალური ექსპლოატაციის გარანტიასაც.

ჩვენს სახელმწიფოში ძეგლების დაცვა კონსტიტუციურ სიმაღლემდეა აყვანილი; პარტია და მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ მათდამი. ისტორია ჩვენით არ იწყება და ჩვენით არ მთავრდება. ამიტომ საზოგადოებრიობამ, თითოეულმა ადამიანმა ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ მხარში ამოუდგნენ სპეციალურ სახელმწიფო დაწესებულებებს ძეგლთა დაცვისა და გამოყენების ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებაში. ეს კი იმის საწინდარი იქნება, რომ ჩვენი მდიდარი კულტურისა და ბუნების უნიკალური ძეგლების ხილვით დავტკბეთ და ესთეტიკური სიამოვნება მივიღოთ არა მარტო ჩვენ და ჩვენმა შვილებმა, არამედ შთამომავლობასაც შემოვუნახოთ ისინი.

**თ. კიკნაძე,**
**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიური საბჭოს თავმჯდომარე.**

# საერთაშორისო ცხოვრება
# დედამიწის ზურგზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პირველად ნიკარაგუის ისტორიაში

**მანაგუა,** 30 ივლისი. (საკდესი). ნიკარაგუის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიგელ დესკოტომ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის ნორმალურად წარმართოს დიპლომატიური ურთიერთობა და განავითაროს ყოველმხრივი კონტაქტები ნიკარაგუასთან ორი ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების ინტერესებისათვის. ეს განცხადება მან გააკეთა იმ წერილთან დაკავშირებით, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა გაუგზავნა ეროვნული აღორძინების დროებითს დემოკრატიულ მთავრობას.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ნიკარაგუას პირველად ექნება დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და კუბასთან.

აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოსვლისას მ. დესკოტომ თქვა, რომ დროებითი დემოკრატიული მთავრობა ცნო ლათინური ამერიკის თითქმის ყველა სახელმწიფომ ჩილესა და პარაგვაის ფაშისტური რეჟიმების გარდა, აგრეთვე ევროპისა და აზია-აფრიკის ბევრმა ქვეყანამ. ნიკარაგუის არცერთ მთავრობას, ხაზი გაუსვა მან, ამ ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე არ მოუპოვებია ესოდენ ფართო პოლიტიკური აღიარება.

## პროტესტის ნოტა

**კარაკასი,** 30 ივლისი. (საკდესი). ვენესუელის მთავრობამ შეერთებულ შტატებს მტკიცე პროტესტი განუცხადა ქვეყნის სუვერენიტეტისა და ეროვნული ღირსების წინააღმდეგ ამერიკის სასამართლო ორგანოების მტრული გამოხდომების გამო. ამ შეტყობინებას შეიცავს ნოტა, რომელიც ვენესუელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების კარაკასის საელჩოს. ვენესუელის მხრივ ენერგიული პროტესტის მიზეზი გახდა კალიფორნიის შტატის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება კერძო პირთა შუამდგომლობის საფუძველზე აღეძრა საქმე ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (ოპეკ-ის) წინააღმდეგ, რომლის წევრიც არის ვენესუელა, — იმის გამო, რომ ამ ორგანიზაციამ გამოაცხადა ფასების მომატება მის მიერ ექსპორტირებულ ნედლეულზე.

ვენესუელის მთავრობა, ნათქვამია დოკუმენტში, გამოთქვამს იმედს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს, რათა დაიცვას ვენესუელის სახელმწიფო სასამართლო ორგანოების არამართლზომიერი აქციებისაგან, ამასთან იტოვებს უფლებას მოითხოვოს ქვეყნის ეროვნული სუვერენიტეტისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

## ჩინეთი მოლაპარაკებას ამუხრუჭებს

**ჰანოი,** 30 ივლისი. (საკდესი). ვიეტნამსა და ჩინეთს შორის მიმდინარე მოლაპარაკების პირველი და მეორე რაუნდის დღემდე გამართულ სხდომებს ჯერჯერობით რაიმე დადებითი შედეგები არ მოჰყოლია; ჩინეთის დელეგაციამ უარყო ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ყველა წინადადება, მათ შორის წინადადება ორი ქვეყნის ურთიერთობასთან დაკავშირებული პრობლემების მოწესრიგების თაობაზე, აგრეთვე, ვიეტნამ-ჩინეთის საზღვარზე დაძაბულობის შენელების მიზნით საგანგებო ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, წერს ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

ჩინეთის ხელმძღვანელები, აღნიშნავენ სააგენტოები, მოლაპარაკებაზე კვლავ მოითხოვენ განიხილონ, უწინარეს ყოვლისა, მათი აზრით, „ორი ქვეყნის კონფლიქტის მოწესრიგების თავიდათავი — ეგრეთ წოდებული „ჰეგემონიზმის" წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა. ჩინელები ამ ხერხს იმიტომ მიმართავენ, რომ მსოფლიოს ხალხთა ყურადღება ჩამოაშორონ იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის, რასიზმის, სიონიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლას".

აბრალებენ რა ვიეტნამს ჰეგემონიზმს, ჩინეთის წარმომადგენლებს სურთ მოლაპარაკება გადაიყვანონ ეგრეთ წოდებული „კამპუჩიის საკითხის" განხილვის რელსებზე და მოითხოვონ ვიეტნამის ჯარების გაყვანა კამპუჩიიდან, ნათქვამია ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს ცნობაში. მაგრამ, აღნიშნავს სააგენტო, ეს ვერ მოატყუებს კამპუჩიელ ხალხს, რომელიც აღსდგა პეკინის მიერ დაქირავებულ ჯალათთა წინააღმდეგ და რომელმაც ვიეტნამელი ხალხის დახმარებით გაათავისუფლა მთელი თავისი ტერიტორია.

## ინდოეთის ახალი მთავრობა

**დელი.** (საკდესი). აქ პრეზიდენტის სასახლეში ფიცი დადებინეს ინდოეთის ახალ პრემიერ-მინისტრს ჩანარ სინგჰსა და მისი მთავრობის 8 მინისტრს.

პრემიერ-მინისტრის მოადგილედ და შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულია ი. ბ. ჩავანი, საგარეო საქმეთა მინისტრად შ. ნ. მიშრა, ფინანსთა მინისტრად ჰ. ნ. ბაჰუგუნი.

## ალალმართალი ინფორმაციისათვის

**ლისაბონი,** 30 ივლისი. (საკდესი). „მდგომარეობა, რომელიც პორტუგალიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დარგში შეიქმნა, არ შეესაბამება პარლამენტის მომავალი არჩევნების მოწყობისათვის საჭირო პირობებს", — ნათქვამია პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინფორმაციისა და პროპაგანდის განყოფილების განცხადებაში, რომელიც აქ დღეს გამოქვეყნდა. იგი შეიცავს მწვავე კრიტიკას ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებათა მისამართით.

ინფორმაციის ძირითადი საშუალებანი, ნათქვამია, კერძოდ, დოკუმენტში, უპირატესობას ანიჭებენ რეაქციულ პარტიებს მათი პოზიციების გაშუქებაში, ნერგავენ მუდმივ იდეოლოგიურ დისკრიმინაციას, მოუწოდებენ მოსახლეობას ძირი გამოუთხაროს და უპატივცემულოდ მოეკიდოს დემოკრატიულ კანონიერებას, შეურაცხყოფენ პორტუგალიელი ხალხის დიდი ნაწილის დემოკრატიულ შეგნებას.

„რეაქციული ძალები, აღნიშნულია განცხადებაში, — ამჟამად ფართო შეტევას აწყობენ, რათა შეინარჩუნონ პოზიციები, რომლებიც უკანონოდ დაიკავეს მოტა პინტუს მთავრობის დროს".

დასასრულ პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინფორმაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგემ აღნიშნა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ შეიცვალოს მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებათა ორიენტაცია მიმდინარე მომენტის აქტუალური მოთხოვნების შესაბამისად.

## შრომა და კაპიტალი




**პორტუგალია.** ქვეყნის პროფკავშირული მოძრაობის ერთიანობის განმტკიცების ნიშნით ლისაბონში გაიმართა მშრომელთა მასობრივი დემონსტრაცია. პროფკავშირების მოწოდებით დედაქალაქისა და სეტუბალას სამრეწველო სარტყლის ასიათასობით მშრომელმა მიიღო მონაწილეობა დემონსტრაციაში. დემონსტრანტებმა მკაცრი პროტესტი გამოთქვეს პარლამენტის მიერ „პროფკავშირული ასოციაციების" კანონპროექტის განხილვის გამო, რომლის მიზანია პორტუგალიაში პროფკავშირული გათიშვა.

**სურათზე:** ლისაბონში დემონსტრაციის დროს.

**საკდესის ფოტოქრონიკა.**

## დამნაშავე — განსასჯელის სკამზე

**პარიზი,** 30 ივლისი. (საკდესის კორ.). პარიზის სასამართლო შეუდგა ვინმე პოლ ტუვიეს საქმის გარჩევას, რომელსაც ბრალად ედება კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობანი საფრანგეთის ფაშისტური ოკუპაციის დროს.

ბევრი დოკუმენტური საბუთი აშკარავებს მის მონაწილეობას მძევალთა და მშვიდობიან მოსახლეთა დახვრეტაში ლიონის მახლობლად, აგრეთვე ფრანგ პატრიოტთა და წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა საკონცენტრაციო ბანაკებში დეპორტირებაში.

ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ ჰიტლერის ეს დამქაში გაასამართლეს. მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს ლიონისა და შანბერის სასამართლო ორგანოებმა.

მაგრამ დამნაშავემ შეძლო გაქცეოდა სამართლიან შურისგებას. თანამზრახველნი, რომლებიც დღესაც დაუდგენელნი არიან, დაეხმარნენ მას საპყრობილედან გაქცეულიყო. ხოლო 20 წლის შემდეგ მოღალატე არხეინად გამოცხადდა შანბერში, იმ იმედით, რომ არ დასჯიდნენ „დანაშაულის ხანდაზმულობის" გამო. საკონცენტრაციო ბანაკებში დაღუპულ და წამებულ პატრიოტთა ოჯახებმა სასამართლოს მიმართეს, რათა კანონის საფუძველზე დაესაჯათ ჯალათი. მაგრამ მრავალი წლის გაჭიანურებისა და გარჩევის შემდეგ ლიონისა და შანბერის სასამართლოებმა გამოაცხადეს, რომ ისინი „კომპეტენტურნი არ არიან" გამოუტანონ დამნაშავეს შესაფერისი განაჩენი.

პარიზის სასამართლოსათვის დამნაშავის საქმის გადაცემა „ლუმანიტემ" ქვეყნის დემოკრატიული საზოგადოებრიობის გამარჯვებად მიიჩნია.

წინააღმდეგობის ყოფილ მონაწილეთა ორგანიზაციები, ინტერნირებულ და დეპორტირებულ პატრიოტთა ოჯახები მტკიცედ მოითხოვენ ჰიტლერელი ჯალათის სამართლიან დასჯას.

„კომუნისტის" მიმოხილვა

# გასულ კვირას

◆ მთავარი ფაქტორი—ეკონომიკური დაქვეითება ◆ ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის კონფერენციის წინ

**როდესაც** რესპუბლიკის პრეზიდენტმა პერტინიმ ქრისტიან დემოკრატს პანდოლფის (ყოფილ ფინანსთა მინისტრს) დაავალა მთავრობის შედგენა, იტალიაში მთავრობის კრიზისის ახალი ფაზა დაიწყო. მარტო ივლისში პანდოლფი უკვე მესამე სახელმწიფო მოღვაწეა, რომელმაც ეს ძნელი მისია იკისრა.

ამ დღეებში ადგილობრივი მიმომხილველები, რომელთაც უკვე მობეზრდათ კრიზისის ქრონიკის რეპორტაჟები (მკითხველს უკვე ვეღარ გააკვირვებ იტალიაში მთავრობის კრიზისით), ცდილობენ, უფრო ღრმად ჩასწვდნენ კრიზისის ფესვებს და რაიმე კანონზომიერი ფაქტორები დაადგინონ. პირველი ფაქტორი, რომელზეც ერთსულოვნად მიუთითებს ყველა სპეციალისტი, ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა (მემარჯვენე პრესა ცდილობს თავი აარიდოს უკომუნისტებოდ ქვეყნის ეფექტიანი მართვის შეუძლებლობის რეალურ პრობლემას). ქვეყანამ საგანგაშო ეკონომიკური მონაცემებით დაამთავრა გასული წელი. 1979 წლის დამდეგს უკვე ცხადი იყო, რომ ქრისტიანმა დემოკრატებმა ამჯერადაც ვერ შეძლეს თავი გაერთვათ ეკონომიკური სირთულეებისთვის. განსაკუთრებული მდგომარეობა შეიქმნა ქვეყნის მრეწველობის ტრადიციულ დარგებში. საგრძნობლად შემცირდა წარმოების მოცულობა საფეიქრო მრეწველობაში — წლის ბოლოსათვის 6 პროცენტით. მწვავე კრიზისმა მოიცვა ერთ დროს აყვავებული სამშენებლო მრეწველობა — 1978 წელს აპენინის ნახევარკუნძულზე სამჯერ ნაკლები საცხოვრებელი სახლი აშენდა, ვიდრე 1964 წელს. სადღეისოდ კი იტალიას უკანასკნელი ადგილი უკავია ევროპაში საბინაო მშენებლობის მხრივ. მძიმე დღეები დაუდგა გემთმშენებლობასა და სახელმწიფო სარკინიგზო სისტემას. ქვეყნის საფინანსო და სამრეწველო წრეების ორგანოს — ჟურნალ „მონდოს" მონაცემებით, დღეს იტალიაში არ არის მსხვილი გემთმშენებელი კომპანია, რომელიც იძულებული არ იყოს შეამციროს წარმოება და ვალებში არ იყოს ჩაფლული. იტალიის ფლოტი, რომლის განკარგულებაშიც ძირითადად უკვე მოძველებული გემებია, მსოფლიო ფლოტის მხოლოდ 2,5 პროცენტს შეადგენს. მარტო მიმდინარე წელს 1.230 მილიარდი ლირა დეფიციტია დაგეგმილი სახელმწიფო სარკინიგზო სისტემისათვის.

ამავე დროს ქვეყანაში აღინიშნება კაპიტალის მონოპოლიზაციის პროცესის გაღრმავება. ეს ტენდენცია ძირითადად ამერიკელ და იაპონელ კონკურენტთა მოძალებით არის გამოწვეული, მეტალურგიულ მრეწველობაში ძლიერი მეტოქეების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნის მიზნით კერძო კომპანიები „სმი-ორლანდის" დაჯგუფებაში გაერთიანდნენ, ასევე მონოპოლიზებულია ფარმაცევტული, ქაღალდის წარმოების მრეწველობა და სხვა. ყოველივე ამის შედეგი კი უწინარეს ყოვლისა, ასობით წვრილ მწარმოებელთა გაკოტრებაა.

იტალიის სტატისტიკის ცენტრალური ინსტიტუტის მონაცემებით, მიმდინარე წლის დასაწყისისათვის ქვეყანაში 1571 ათასი ოფიციალურად რეგისტრირებული უმუშევარი იყო, რაც 25 ათასით სჭარბობს წინა წლის მონაცემებს.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან სკოლა და უმაღლეს სასწავლებელდამთავრებულნი — 500 ათას ახალგაზრდა უმუშევარს სკოლის ან უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების მოწმობა აქვს.—ფაქტიურად სრული კრახი განიცადა ქრისტიან დემოკრატთა მთავრობის მიერ ფართოდ რეკლამირებულმა გეგმამ, რომლის მიხედვითაც 500 ათასი სამუშაო ადგილი უნდა შექმნილიყო მხოლოდ ახალგაზრდა უმუშევრებისათვის.

მიმდინარე წლის დასაწყისისათვის გამოქვეყნებულ ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ქვეყნის მთავრობამ ვერ შეძლო მძიმე საფინანსო და ეკონომიკური კრიზისის გადაჭრა. დღითი დღე უარესდება მოსახლეობის ფართო წრეების ცხოვრების პირობები; ყოველკვირეული „ეუროპეოს" მონაცემებით, იტალიელთა 33 პროცენტი იძულებული გახდა თვის ყოველდღიურ ულუფაში შეემცირებინა ხორცი, ხილი, ყველი, ზეითუნის ზეთი. ჟურნალის ცნობით, საშუალო ხელფასიანი იტალიელის შემოსავალი ძლივს აუდის ვალებსა და გადასახადებს.

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქვეყნის სოფლის მეურნეობაც, რომელსაც ზედმეტ ტვირთად აწევა „საერთო ბაზრის" წევრობით ნაკისრი დამატებითი ვალდებულებები, სისტემატურად მცირდება ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა წარმოება და იზრდება სხვადასხვა პროდუქტის იძულებითი იმპორტი. მხოლოდ გასულ წელს „ციტრუსების ქვეყანა" იძულებული იყო 21 პროცენტით გაეზარდა ხილისა და ბოსტნეულის იმპორტი გაერთიანების წევრ სხვა სახელმწიფოებიდან.

მიმომხილველთა და სპეციალისტთა აზრით, გასულ წელს ქვეყნის სიძნელეებთან ბრძოლას აადვილებდა კომუნისტური პარტიის მონაწილეობა საპარლამენტო უმრავლესობაში, რომელიც 1978 წლის მარტში შეიქმნა.

აწ გადამდგარმა ქრისტიან დემოკრატთა ერთპარტიულმა მთავრობამ თავისი გადადგომის წინ პარლამენტის განსახილველად გადასცა სამწლიანი ეკონომიკური პროგრამა, რომელიც კრიზისის დაძლევისა და ეროვნული ეკონომიკის განვითარების წინადადებებს შეიცავს. პროგრამამ კომუნისტთა და პროფკავშირთა მკვეთრი კრიტიკა გამოიწვია. მიმდინარე წლის დამდეგს ქვეყნის ბიუჯეტი ითვალისწინებდა უპრეცედენტო დეფიციტს — 55802 მილიარდ ლირას. ყოფილი მთავრობა ამ გიგანტური დეფიციტის შემცირებას ძირითადად სოციალურ საჭიროებებისათვის გათვალისწინებულ ასიგნებათა შემცირებით ვარაუდობდა.

როგორც ვხედავთ, მთავრობის გადადგომის მიზეზები იტალიაში საკმარისზე მეტი იყო და შედეგმაც არ დააყოვნა.

რა შეიძლება ითქვას სადღეისო სიტუაციაზე? როგორც ჩანს, ქრისტიანმა დემოკრატებმა პირველად მიაღწიეს მიზანს — შეუძლებელი გახდეს სოციალისტთა ლიდერის კრაქსის მიერ მთავრობის შედგენა, და გამორიცხული არ არის, რომ მომავალ მთავრობას (რომელიც შეიძლება უკვე შედგენილიც იყოს ამ წერილის გამოქვეყნების მომენტისათვის) კვლავ ქრისტიანი დემოკრატი ჩაუდგება სათავეში, მაგრამ ეს მხოლოდ „კოსმეტიკური" ღონისძიება იქნება. კრიზისის ფესვები ხელუხლებელი დარჩება და არც მომავალი მთავრობა იქნება დღეგრძელი. ასე გასტანს, სანამ ქრისტიან დემოკრატთა ხელმძღვანელობა არ შეეგუება რეალობას და დე-იურე არ აღიარებს კომუნისტთა გარეშე ქვეყნის მართვისა და კრიზისის დაძლევის შეუძლებლობას.

**გასულ** კვირას ზამბიის დედაქალაქ ლუსაკას საპატიო სტუმრები ეწვივნენ. პირველი იქ ინგლისის დედოფალი ელისაბედი ჩავიდა. ოთხშაბათს აქ იხსნება ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის მორიგი კონფერენცია, რომლის მუშაობაშიც 41 სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. ამჯერად კონფერენციისადმი უჩვეულო ინტერესი მისმა დღის წესრიგმა განაპირობა — მთავარ საკითხად განხილული იქნება ეგრეთ წოდებული ზიმბაბვე-როდეზიის მარიონეტული მთავრობის ცნობა-არცნობის საკითხი. შაბათს ეპისკოპოსმა მუზორევამ ოფიციალურად სთხოვა კონფერენციის მონაწილეებს ცნონ მისი მთავრობა, და იქვე განაცხადა, რომ იგი მზად არის გადასინჯოს ქვეყნის კონსტიტუცია ადგილობრივ მკვიდრთა უფლების გაფართოების თვალსაზრისით.

უკანასკნელ ხანს როდეზიის პრობლემა საერთაშორისო წრეების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ქვეყნის ფიქციური პრემიერის მუზორევას დიპლომატიური დემარშების გამო. როგორც ცნობილია, მან იმოგზაურა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, შეხვდა და ესაუბრა პრეზიდენტ კარტერსა და პრემიერ ტეტჩერს და, არცთუ უსაფუძვლოდ, იმედი აქვს, რომ მიაღწევს ეკონომიკური სანქციების გაუქმებას. მუზორევა განსაკუთრებულ იმედს ინგლისელ კონსერვატორებზე ამყარებს — ტეტჩერი ხომ არც საარჩევნო კამპანიის დროს და არც მერე არ მალავდა თავის დამოკიდებულებას ეგრეთ წოდებული „რეგულირების" მიმართ, რომლის მეშვეობითაც თეთრკანიანმა რასისტებმა შეძლეს რეალური ძალაუფლების შენარჩუნება. „თავისუფალი" არჩევნების ფარსი (რომლის შედეგადაც „ხელისუფლების" სათავეში მუზორევა მივიდა) იმდენად შეუნიღბავი იყო, ხოლო ქვეყნის ახალი კონსტიტუცია იმდენად რასისტული, რომ ერთბაშად ახალი რეჟიმის ცნობა ამერიკისა და ინგლისის მთავრობებსაც კი გაუჭირდათ. ამიტომ იყო, რომ ვაშინგტონში კარტერმა კატეგორიულად მოსთხოვა მუზორევას კონსტიტუციის განსაკუთრებით ოდიოზური პუნქტების შესწორება. საერთო აზრით, მუზორევა კიდეც რომ დათანხმდეს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას, ეს არაფერს არ შეცვლის, სანამ ხელისუფლების სათავეში არ მოექცევიან პატრიოტული ძალები, რომლებიც წლების განმავლობაში იბრძვიან რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ, „შავკანიანი უმრავლესობისათვის ხელისუფლების გადაცემა" მხოლოდ პოლიტიკური ფარსი იქნება.

**ს. ცინცაძე,**
**„კომუნისტის" პოლიტიკური მიმომხილველი.**

*მოკლედ*

## ყოველი მხრიდან

*30 ივლისი*

**ვენა.** ავსტრიაში სწრაფი ტემპით კოტრდებიან წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობები, რომლებიც ვეღარ უძლებენ დიდი სასოფლო-სამეურნეო კაპიტალისტური ფერმების მწვავე კონკურენციას. ამას ბევრად უწყობს ხელს აგრეთვე „საერთო ბაზრის" ქვეყნების პოლიტიკა, რომლებიც დისკრიმინაციულ შეზღუდვებს უწესებენ ავსტრიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს. ამის შედეგად მარტო ფორარლბერგის მხარეში უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე გაკოტრდა და არსებობა შეწყვიტა 4 ათასზე მეტმა წვრილმა და საშუალო გლეხურმა მეურნეობამ.

**რიო-დე-ჟანეირო.** მრავალეროვნული მონოპოლიები, რომლებმაც ხელთ იგდეს ბრაზილიის პრაქტიკულად მთელი მრეწველობა, ყოველწლიურად ლათინური ამერიკის ამ უდიდესი ქვეყნიდან ზღაპრულ მოგებას იღებენ. ამას წერს ბრაზილიის გაზეთი „ტრიბუნა და იმპრენსა". თვით ბრაზილიელებისათვის, განაგრძობს გაზეთი, მონოპოლიების მძარცველური პოლიტიკა — ეს არის ქვეყნის საგარეო ვალის განუწყვეტელი ზრდა, ხილატკე, უმუშევრობა. გაზეთის მონაცემებით, 1983 წლისათვის ბრაზილიამ უცხოელ კრედიტორებს 100 მილიარდი დოლარი უნდა გადაუხადოს.

**კაირო.** მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე და ღაზის სექტორში პალესტინელი მოსახლეობისათვის „ადმინისტრაციული ავტონომიის" მიცემის საკითხთან დაკავშირებით ეგვიპტემ ეგრეთ წოდებული „სამუშაო დოკუმენტი" შეიმუშავა. გაზეთი „ახბარ ალ-იაუმი" იტყობინება, რომ მას განსახილველად გადასცემენ ეგვიპტე-ისრაელის ორ კომისიას, რომლებიც „ავტონომიის" შესახებ მოლაპარაკებისათვის შეიქმნა.

გაზეთი არ აქვეყნებს „სამუშაო დოკუმენტის" შინაარს, თუმცა წერს, რომ მასში საქმე ეხება კონკრეტულ წინადადებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ „ავტონომიის" გეგმის რაც შეიძლება სწრაფ რეალიზაციას. ეს გეგმა კაიროსა და თელ-ავივმა შეათანხმეს პალესტინის არაბი ხალხის ზურგს უკან. იგი მიზნად ისახავს, ფაქტიურად სამარადისოდ დაამკვიდროს ისრაელის სამხედრო კონტროლი დასავლეთ ნაპირზე და ღაზის სექტორში (საკდესი).

ჩვენი ინტერვიუ

# ურთიერთგამამდიდრებელი შეხვედრები

## მუშაობა დაამთავრა მათემატიკოსთა კონფერენციამ

**საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების მათემატიკოსთა VIII კონფერენციამ, რომელიც რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ მოაწყო, მუშაობა დაასრულა: ეს კონფერენცია მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და პედაგოგის, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის ანდრია რაზმაძის დაბადების 90-ე წლისთავს. „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი თ. ეზანიძე შეხვდა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ბ. ხველედიანს. აი, რა გვიამბო მან:**

— კონფერენცია საკმაოდ მასშტაბური გამოვიდა, მან რიცხობრივად და თვისებრივად დიდად გადააჭარბა წინა კონფერენციებს. მოხსენებათა რაოდენობა 200-ს აღწევდა და ბევრი მათგანი — როგორც პლენარული, ისე სექციური — თამამად შეიძლებოდა გატანილიყო საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციაზე ან სპეციალურ სიმპოზიუმებზე (ზოგი კიდევაც იყო გატანილი, ზოგსაც გაიტანენ).

კონფერენციისათვის დამახასიათებელი ისიც გახლდათ, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად აქ წარმოდგენილი იყო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის, რესპუბლიკის ზოგიერთი სამინისტროს კვლევითი დაწესებულებები და მოკავშირე რესპუბლიკების რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი. მაგალითად, ჩვენი აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტი ისევე ფართოდ იყო წარმოდგენილი, როგორც ჩვენი მთავარი უმაღლესი სკოლა — თბილისის უნივერსიტეტი. VIII კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელი აკადემიკოსი ვ. კუპრაძე, მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ნ. ვეკუა, უმაღლესი სკოლების წამყვანი მუშაკები — სათანადო ფაკულტეტების დეკანები, კათედრათა გამგეები, პროფესორ-მასწავლებლები, საკავშირო განათლების სამინისტროს წარმომადგენლები. განსაკუთრებით სასიამოვნოდ მიმაჩნია ის ფაქტი, რომ კონფერენციის მუშაობაში ბევრი ახალგაზრდა მონაწილეობდა, მათ შორის სტუდენტი მომხსენებლებიც.

მათემატიკაში კვლევითი მუშაობა ბოლო ხანს ჩვენში არსებითად განვითარდა როგორც ტერიტორიულად, ისე შინაარსობრივად. თბილისის გარდა, ახლა მნიშვნელოვანი კვლევა წარმოებს სხვა ქალაქებშიც. ეს კვლევა ერთ ან ორ გამორჩეულ დარგში კი არ მიმდინარეობს, როგორც ეს უწინ იყო, არამედ მათემატიკის თითქმის ყველა დარგში. ამის გამო საჭირო გახდა დროდადრო სხვადასხვა ადგილას შევხვდეთ ხოლმე და გავეცნოთ ერთმანეთის უახლეს შედეგებს, კრიტიკულად განვიხილოთ ისინი, შევათანხმოთ თემატიკა და დავსახოთ მომავალი მუშაობის გზები. ამას კიდევაც ვაკეთებთ ორ წელიწადში ერთხელ. ბოლო ხანებში ჩვენ უკვე შევიკრიბეთ ცხინვალში, ბათუმში, ახლა ქუთაისს ვესტუმრეთ, სადაც გავიცანით პედაგოგიური და პოლიტექნიკური ინსტიტუტების მათემატიკოსები, რომლებიც აქტიურად იკვლევენ სხვადასხვა საკითხს. საგულისხმოა, რომ, მაგალითად, ალგებრაში, ტოპოლოგიაში, ალბათობის თეორიაში — დარგებში, რომლებიც ტრადიციული არ არის ქართული მათემატიკური სკოლისათვის, ქუთაისის კონფერენციაზე შექმნილი იყო დამოუკიდებელი სექციები.

VIII კონფერენცია ქართველ მათემატიკოსთა მიღწევების ერთგვარი დათვალიერება გახლდათ, მაგრამ ამასთანავე უმაღლესი სკოლების საქმიანობის შემოწმებაც იყო როგორც კვლევის, ისე მეთოდიკის მხრივ. ჩვენ სამი ტიპის მოხსენებები გამოვიტანეთ: მიმოხილვითი — მათემატიკის იმ აქტუალური მიმართულებებიდან, რომლებიც ამჟამად წარმატებით ვითარდება საზოგადოდ და, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში; ისტორიული და საიუბილეო, რომლებიც ანდრია რაზმაძის დაბადების 90-ე და უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო (როგორც მაშინ ეწოდებოდა) ფაკულტეტის მე-60 წლისთავს მიეძღვნა; დაბოლოს, მოხსენებები მეთოდოლოგიურ, საზოგადოებრივ-ორგანიზაციულ და სხვა ისეთ საკითხებზე, როგორიც არის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში გამოყენებითი მათემატიკის სპეციალისტთა მომზადება, მათემატიკის სატერმინოლოგიო კომისიის მუშაობა, პედაგოგთა კადრების მომზადება, დაგეგმვა, განაწილება და გამოყენება... სექციურ მოხსენებებში გადმოცემული იყო მათემატიკის სხვადასხვა დარგში მიღწეული ახალი შედეგები. ცალკე უნდა შევეხო მათემატიკის მეთოდიკას — აქ მოხსენებები იმდენად მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა, რომ საჭირო გახდა ორი სექციის მუშაობა — ცალკე საშუალო სკოლის მათემატიკისა და ცალკე უმაღლესი სკოლის მათემატიკისა.

დასასრულ, მე ვუერთდები ამ შეკრებაზე გამოთქმულ საერთო შეხედულებას, რომ ასეთი კონფერენციები მომავალშიც უეჭველად რეგულარულად იქნება.

## მშობლიურო, ჩემო მიწავ!



გზა ღრუბლებისკენ (ჯვრის უღელტეხილზე). ს. კილაძის ფოტო.

# ერთ დღეში— ორი ოქრო!

**თეიმურაზ მატოიანი და რამაზ ხარშილაძე სპარტაკიადის ჩემპიონები არიან!**



**სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა**

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ჯ. ენუქიძე გვატყობინებს.

**მოსკოვი,** (30 ივლისი. ტელეფონით). საქართველოს მძლეოსნებმა 5, მოცურავეებმა კი 13 რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს სპარტაკიადაში. მართალია მათი უმრავლესობა საერთაშორისო სტანდარტებთან ვერ მოვა, მაგრამ ერთი რამ მაინც ნიშანდობლივია: მძლეოსნობაშიც და ცურვაშიც ერთგვარი წინსვლის სასიკეთო ძვრები შეინიშნება. ჩვენ ამ სახეობებში ჯერჯერობით მორიდებულ ნაბიჯებს ვდგამთ, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში უფრო მტკიცედ შევუტევთ რეკორდებს.

ქების ღირსი არიან ჩვენი ცხენოსნები, რომლებმაც სამჭიდში, დაბრკოლებათა გადალახვაში (გუნდური), ცხენის გაწვრთნილობაში (გუნდური) და პირად ასპარეზობაში მოპოვებული შედეგებით საბოლოოდ მეექვსე ადგილის დაკავება შეძლეს (82 ქულა). ჩვენს ცხენოსნებს ასეთი წარმატებებისათვის მანამდე გამართულ არც ერთ სპარტაკიადაზე არ მიუღწევიათ. ამ სახეობაში პირველობა მოსკოველებს ხვდათ წილად (236 ქულა).

ტრეკზე სპრინტერთა ბრძოლაში 17 წლის ემზარ გელაშვილმა საქართველოს დელეგაციის მესამე ადგილისათვის განკუთვნილი ქულები მოუტანა. მან დიდებულად იასპარეზა, მაგრამ ერთ-ერთი სერიის დროს დაეცა და უკეთესი ადგილისათვის ბრძოლა ვეღარ განაგრძო. ე. გელაშვილის სახით რესპუბლიკას მომავალში უთუოდ ძლიერი სპორტსმენი ეზრდება და თუ იგი ამჟამად პირველი არ იყო, გული არ უნდა გაუტყდეს.

ახლა კი პეტრე ჩევარდოვის შესახებ. მან წლევანდელ სეზონში არაერთი გამარჯვება მოიპოვა და ამჯერად გამოდევნებით გუნდურ რბოლაში საბჭოთა ნაკრების ღირსების დაცვაც რომ მიანდეს, კანონზომიერია. ჩევარდოვმა არც ნაკრები დაალალატა და არც მშობლიური რესპუბლიკა. თანაგუნდელებთან მან პირველობა მოიპოვა, მიიღო ოქროს მედალიც და ქულათა გარკვეული რაოდენობა შესძინა ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ კოლექტივს.

თუ ტრეკზე მრბოლელებმა გაგვახარეს, ამას ვერ ვიტყვით საგზატკეცილო რბოლაზე. როგორც 100 კმ გუნდურ, ისე 190 კმ ჯგუფურ რბოლებში ჩვენს ველოსიპედისტებს ერთი ჩასათვლელი ქულაც არ მოუტანიათ.

გრძელდება წყალმხტომელთა შეჯიბრება. 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ლიანა ცოტაძემ მეშვიდე ადგილი დაიკავა (576,90 ქულა), სერგი შალიმაშვილი პროგრამის ამავე სახეობაში მეთორმეტე იყო.

**მეოთხედფინალური ორთაბრძოლა მოიგო საქართველოს მოკრივემ მ. თაქთაქიშვილმა (71 კგ). მან უშელავათო შერკინებაში ქულებით სძლია პ. ვარდანიანს (სომხეთი) და სულ ცოტა, ბრინჯაოს მედალი გაინაღდა.**

დამთავრდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ასპარეზობა და საბოლოოდ შეჯამდა შედეგები. ვ. მოდოსიანმა (82 კგ) მეოთხე ადგილი დაიკავა და გუნდს 20 ჩასათვლელი ქულა მოუტანა). ჩვენი მოჭიდავეებიდან ერთმაც ვერ მიიღო არათუ ოქროს, არამედ ვერცხლის და ბრინჯაოს მედალიც. ეს კიდევ არაფერი: მოჭიდავეებმა გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ მეცხრე ადგილი დაიკავეს. ჩვენებს გაუსწრეს რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, მოსკოვის, სომხეთის და უზბეკეთის ათლეტებმა.

ასე სავალალოდ საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს აქამდე არც ერთი სპარტაკიადა არ დაუმთავრებიათ. ჩვენს მოჭიდავეებზე დღევანდელი „პრავდის“ ნომერი შენიშნავს: **„ყველა გაცილებით მეტს მოელოდა საქართველოს სპორტსმენებისაგან, რომლებიც ადრე თავისუფალ ჭიდაობაში ტონის მიმცემი იყვნენ. აქ კი ისინი უიმედლებოდ დარჩნენო“...**

დაიწყო ძიუდოისტთა ასპარეზობა. პირველ დღეს გათამაშდა მედლები 95 კგ წონის ათლეტებს შორის. ამ წონითს კატეგორიაში უიღბლოდ იასპარეზა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ჯ. ნიკარაძემ, ერთი კია: მას მეოთხედფინალში მეტად ძლიერ მეტოქესთან ყაზახეთის წარმომადგენელთან ა. ტიურინთან მოუწია შეხვედრა. ნიქარაძე დამარცხდა. ტიურინმა ნახევარფინალში ე. ეფრემოვთან (ლენინგრადი) წააგო და ნიქარაძემ სანუგეშო ტურნირში მონაწილეობის უფლებაც დაკარგა. საბოლოოდ იგი რვა საუკეთესოს მიღმა დარჩა და გუნდს ქულები ვერ მოუტანა.

კიევში, ხელბურთელთა ნახევარფინალურ ტურნირში, რომელშიც საქართველოს ქალთა და ვაჟთა ნაკრებებიც მონაწილეობენ, მორიგი ტური უიღბლო აღმოჩნდა ჩვენი სპორტსმენებისათვის. ქალთა ნაკრები დამარცხდა აზერბაიჯანელებთან — 12:25, ვაჟთა გუნდი კი ლიტველებთან— 19:21. თუმცა ამის შემდეგ ჩვენმა ვაჟებმა ერთგვარი რევანში აიღეს და დაამარცხეს აზერბაიჯანის ნაკრები — 36:23.

ნახევარფინალური ტურნირის სტარტი ვერც ჩვენმა ვაჟმა კალათბურთელებმა აიღეს კარგად. ისინი პირველ შეხვედრაში დამარცხდნენ ლატვიელებთან, მაგრამ მომდევნო მატჩში გაიმარჯვეს პოლონელებთან — 85:77.

მკითხველი ალბათ დააკვირდებოდა, რომ სპარტაკიადაში განსაკუთრებულ შედეგებს (ვგულისხმობთ მსოფლიო რეკორდებს) არცთუ ისე ხშირად აჩვენებენ სპორტსმენები. ჯერჯერობით მოსკოვში 5 მსოფლიო რეკორდი დამყარდა და მათგან სამის ავტორი უცხოელი სპორტსმენები არიან. რიგით მეხუთე მსოფლიო მიღწევა კი ეკუთვნით უკრაინელ მორბენლებს რ. მახოვას, ტ. პროროჩენკოს, ნ. ზიუსკოვას და მ. კულჩუნოვას, რომლებმაც 4X200 მ ესტაფეტით სირბილს 1 წუთი და 30,8 წამი მოანდომეს.

წლევანდელ სპარტაკიადას რეკორდებისაგან განსხვავებით მოულოდნელობანი აკლდა. ხალიჩაზე დამარცხდნენ თავისუფალი სტილის ისეთი აღიარებული მოჭიდავეები, როგორიც არიან იარიგინ, აშურალიევი, ანდიევი. და აი, სენსაციამ სიგრძეზე ხტომის სექტორშიც შეაღწია. ვინ იფიქრებდა, რომ მსოფლიო რეკორდსმენი ქალთა შორის ვ. ბარდაუსკენე მხოლოდ მეხუთე ადგილს დაიკავებდა, მაგრამ სწორედ ასე მოხდა, ჩემპიონის ოქროს მედალი კი ა. სტუკალემ (ლატვია) მოიპოვა, რომლის შედეგი იყო 6 მ 66 სმ.

**კვლავ სასიხარულო ცნობა მივიღეთ ტალინიდან, სადაც აფროსნები ეჯიბრებიან ერთმანეთს. ბოლოს, მეშვიდე რბოლის წინ „სოლინგის“ კლასის იახტებით ასპარეზობაში საერთო ჩათვლაში მე-3 ადგილზე იყო ჩვენი ეკიპაჟი (მესაჭე ანატოლი ცვეტკოვი).**

## უკანასკნელ საათს!

### სროლა

**ტელეტაიპმა** მოსკოვიდან სასიხარულო ცნობა მოგვიტანა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა **თეიმურაზ მატოიანმა** მრგვალ სტენდზე შეჯიბრებაში 197 ქულა დააგროვა, სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა.

ამავე სახეობაში 195 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა თამაზ იმნაიშვილმა, მაგრამ იმის გამო რომ ერთ-ერთ საპრიზო ადგილზე საზღვარგარეთელი სპორტსმენი გავიდა, ქართველმა მსროლელმა ჩვენს სპორტულ დელეგაციას მესამე ადგილისათვის განკუთვნილი ქულები მისცა.

### ფეხბურთი

**გაიმართა** ფეხბურთელთა ნახევარფინალური ტურნირის მე-2 ტურის შეხვედრები. საქართველოს ნაკრები შეხვდა ყაზახეთის გუნდს და გაიმარჯვა — 3:2. დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: რსფსრ-ლენინგრადი — 2:0, უკრაინა-ბელორუსია — 0:0, მოსკოვი-ლიტვა — 2:0.

### ძიუდო

**ძიუდოისტთა** შეჯიბრებაში პარალელურად ორი ტურნირი მიმდინარეობს: სასპარტაკიადო და საერთაშორისო. ამ ტურნირებში გამარჯვებული ორი ფალავანი ერთმანეთს ხვდება სპარტაკიადის ოქროს მედლისათვის. მაგრამ საკმარისია გაიმარჯვო პირველ ტურნირში, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდე და შენს სპორტულ დელეგაციას საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილისათვის განკუთვნილ ქულებს შესძინ.

და აი, 95 კგ-მდე წონით კატეგორიაში **რამაზ ხარშილაძემ** მოიგო ორივე ტურნირი და როგორც სპარტაკიადის, ასევე სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა.

### კრივი

54 კგ. **წონითი** კატეგორიის მოკრივეთა ტურნირში ა. ხიზანიშვილმა მეოთხედფინალური ბრძოლა მოუგო ვ. კორნილოვს (ბელორუსია) და ნახევარფინალში გავიდა.

### გამარჯვებულთა კვარცხლბეკი

**თავისუფალი ჭიდაობა**

57 კგ.

1. ს. ბელოგლაზოვი (უკრაინა), 2. ე. მასაკი (იაპონია), 3. ე. აბდურახმანოვი (უზბეკეთი), 8. ი. ლეგაშვილი (საქართველო).

68 კგ.

1. მ. ხარაჩურა (ბელორუსია), 2. პ. პინიგინი (უკრაინა), 3. ა. მიშუროვი (ყაზახეთი), 8. ღ. გიგაური (საქართველო).

82. კგ.

1. მ. არაცილოვი (რსფსრ), 2. დ. შულერი (აშშ), 3. ა. მარკოვიჩი (ბელორუსია), 4. ვლ. მოდოსიანი (საქართველო).

მძიმე წონა.

1. ს. ხასიმიკოვი (მოსკოვი), 2. ს. ანდიევი (რსფსრ), 3. ვლ. ატამასოვი (ბულგარეთი), 8. ნ. მოდებაძე (საქართველო).

რედაქტორი გ. ბედინეიშვილი.

## მკითხველის კალმით

### ამაგდარის გაცილება

**სამტრედია.** სალოკომოტივო დეპოს კომკავშირის კომიტეტმა პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით გაცილება მოუწყო მოწინავე მემანქანეს ვახტანგ სტუროუას.

შეხვედრის დროს ამხანაგებმა დიდხანს ისაუბრეს მის შრომასა და საქმიანობაზე.

დასასრულ სალოკომოტივო დეპოს კომკავშირის კომიტეტმა ამაგდარ ადამიანს სიგელი და საჩუქრები გადასცა.

ნ. ბენდელიანი.

### განახლებული სოფელი

**შინდისი** გორის რაიონის ერთ-ერთი შვენიერი კეთილმოწყობილი სოფელია. ახლახან სოფელი ახალმა საცხოვრებელმა სახლმა დაამშვენა. მეურნეობის მოწინავე მუშებმა ს. ლაცაბიძემ, ნ. მაზმიშვილმა, ს. საბანაძემ და სხვებმა ჰერის დალოცვა იზეიმეს.

შინდისელმა მშრომელებმა გაიხარეს სასმელი წყლის ახალი მაგისტრალური ხაზის გაყვანით. სულ მალე სოფელში საყოფაცხოვრებო მომსახურების კომპლექსის მშენებლობა დაიწყება.

ბ. ქურიძე.

### მუსიკალური ფესტივალი

**თელავი.** აქ მოეწყო ახალგაზრდული მუსიკალური ფესტივალი. ფესტივალში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი (დირიჟორი — ჯ. კახიძე), თბილისის მეორე, ქუთაისის და თელავის სამუსიკო სასწავლებლები.

ფესტივალის პირველ დღეს, სიმფონიური ორკესტრისა და სამუსიკო სასწავლებლების მოსწავლეთა ერთობლივი ძალებით შესრულდა სენ-სანსის, რახმანინოვის, გრიგისა და კაბალევსკის ნაწარმოებები. მეორე დღეს ალავერდის ტაძარსა და თელავის სამუსიკო სასწავლებლების საკონცერტო დარბაზში მოეწყო სამუსიკო სასწავლებლების შემოქმედებითი შეხვედრა-კონცერტები.

მ. ჯიჯიაშვილი.

### მშრომელთა სამსახურში

**ჩხოროწყუ.** სოფელ ზუმში აშენდა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. სადაც მოთავსებულია ქალთა და მამაკაცთა სალონები, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სამკერვალო სახელოსნოები.

გ. აფხაზავა.

## საოპერო ხელოვნება

# იყო და არა იყო რა...



### სცენური სიცოცხლე დაიწყო ახალმა საბავშვო ოპერამ

**თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა სეზონის ბოლო პრემიერა — კომპოზიტორ მერი დავითაშვილის ოპერა „ნაცარქექია“ ბავშვთა საერთაშორისო წელიწადს მიუძღვნა. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტის თხოვნით თეატრის ახალი ნამუშევრის შესახებ მკითხველებს თავიანთ აზრს უზიარებენ ცნობილი კომპოზიტორები და მუსიკათმცოდნეები.**

**ა. ბალანჩივაძე,**
სსრ კავშირის სახალხო არტისტი

**მუდამ** სიამოვნებით ვისმენ ჩემი ყოფილი მოწაფის, ამჟამად კი ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის მერი დავითაშვილის ახალ ნაწარმოებებს.

მის მუსიკას მოსდგამს ქალური სიფაქიზე და სიწმინდე, სიყვარული ნორჩი მსმენელებისადმი, მხატვრული მიზანდასახულობის სიზუსტე.

ეს გრძნობები კვლავ დამეუფლა მისი ახალი მნიშვნელოვანი ნამუშევრის — საბავშვო ოპერის „ნაცარქექიას“ მოსმენისას. ყველა კომპოზიტორმა იცის, რაოდენ რთულია ოპერის დაწერა, და ნურავინ იფიქრებს; თითქოს საბავშვო ოპერა უფრო ადვილი ჟანრი იყოს. არამც და არამც! მას თავისი დიდი და სპეციფიკური სიძნელეები ახლავს. განა შემთხვევითია, რომ თითებზე ჩამოსათვლელია კარგი საბავშვო ოპერები? ამ უკანასკნელთა რიცხვს კი ახლა უდავოდ შეემატა მ. დავითაშვილის „ნაცარქექია“. მომწონს ოპერის საერთო გულწრფელი, ზღაპრული მიამიტობით აღსავსე ტონი, სასიამოვნო, ხალხური სტილით გადაწყვეტილი ანსამბლები, ოსტატურად, გემოვნებიანი და მახვილგონივრული გაორკესტრება. მუსიკაში განსაკუთრებით მომეწონა ზღაპრულ-გროტესკულ ხაზთან დაკავშირებული ეპიზოდები. რაც შეეხება ლირიკულ ხაზს (მზეთუნახავის პარტია), შედარებით ნაკლებად საინტერესოდ, რამდენადმე ტრადიციულად მომეჩვენა. შესრულების მუსიკალური მხარე რიგზეა. კარგია მხატვრობა და დადგმა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მოქმედების სცენის სიღრმეში გადატანისა და დეკორაციების განლაგების თავისებურების გამო ზოგჯერ სუსტდება ან ნაწილობრივ იკარგება ვოკალისტების ცალკეული ფრაზები და რეპლიკები.

**ნ. ანდღულაძე,**
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

მ. დავითაშვილის „ნაცარქექიას“ დადგმა უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი თეატრის ცხოვრებაში, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ძალიან ღარიბია თეატრის საბავშვო რეპერტუარი და, მეორეც, იმიტომ, რომ ჩინებულმა მუსიკალურმა და დრამატურგიულმა მასალამ საშუალება მისცა სპექტაკლის ავტორებს და ახალგაზრდა შემსრულებელთა ჯგუფს საუკეთესოს მხრივ გამოეჩინათ თავი.

ეს არის ნამდვილი საბავშვო ოპერა თავისი განუმეორებელი საზღაპრო სურნელით, წმინდა ხალხური სიბრძნითა და მორალით. იგი არა მარტო ესთეტიკურ, არამედ აღმზრდელობით ფუნქციასაც ასრულებს.

მ. დავითაშვილის მუსიკაში მის ყველა დანარჩენ კარგ თვისებასთან ერთად მომეწონა ის, რომ ძალზე მარჯვედ და მახვილგონივრულად არის გამოყენებული ჩვენი უმრეტი ფოლკლორი, ზუსტად არის მიგნებული საქართველოს სხვადასხვა კუთხის მუსიკალური მასალა. მგონი, არ არსებობს ორი აზრი მხატვარ მ. მალაზონიას მშვენიერ ნამუშევარზე. კარგ დონეზეა სპექტაკლის ყველა დანარჩენი კომპონენტიც, რაც ხელს უწყობს მის მხატვრულ მთლიანობას. ქების ღირსი არიან ახალგაზრდა დირიჟორი ი. ჭიაურელი, დამდგმელი თ. აბაშიძე, ქორეოგრაფი კ. ძნელაძე.

ძალიან კარგი შთაბეჭდილება დამრჩა შემსრულებელთა მთელ ანსამბლზე თ. გუგუშვილის (ნაცარქექია) მეთაურობით.

**ს. ცინცაძე,**
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

**ჯერ** კიდევ სამი წლის წინათ, როდესაც მერი დავითაშვილმა თავისი ოპერა განსახილველად კომპოზიტორთა კავშირში მოიტანა, მე იგი ძალიან მომეწონა თავისი ჟანრული სიზუსტით, ხატოვანი მუსიკის და მწყობრი დრამატურგიის გამო. რწმენაც გამოვთქვი, რომ სცენაზე დადგმისას ოპერის ეს ძლიერი მხარეები მას კიდევ უფრო მომგებიანს გახდიდა. ახლა, სპექტაკლის ნახვისას, ჩემი ეს მოლოდინი მთლიანად გამიმართლდა. „ნაცარქექიას“ მუსიკა სახოვანი და მელოდიურია. ჩინებულია ორკესტრობაც. მაგრამ საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რა რთულია მუსიკის სცენური ხორცშესხმის პროცესი. მ. დავითაშვილს ამ მხრივ ბედმა გაუღიმა. მისი შემოქმედებითი კოლეგებიდან განსაკუთრებით მინდა გამოვყო ნიჭიერი რეჟისორი თ. აბაშიძე. რამდენი გამომგონებლობა და იუმორია მის დადგმაში! ყოველი პერსონაჟი მოძრავი, ცოცხალი სახეა. შეიძლება ითქვას, მთელი სცენა „თამაშობს“. მომეწონა აგრეთვე დირიჟორის ი. ჭიაურელისა და მხატვარ მ. მალაზონიას ნამუშევარი.

**გ. ტორაძე,**
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

მ. დავითაშვილის საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია ეთიკური სიწმინდე, რაც განსაკუთრებით ძვირფასს ხდის მათ ნორჩი თაობის ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის თვალსაზრისით. ეს თვისებები მის ახალ ნამუშევარშიც გამოვლინდა. ეს არის ძალიან მხიარული, ძალიან ზღაპრული და ძალიან ქართული სპექტაკლი, რომელშიც ყველა კომპონენტი ორგანულ მთლიანობაშია მოცემული, მაგრამ პირველ პლანზე, მაინც, მისი ხატოვანი, კოლორიტული და მახვილგონივრული მუსიკაა (მოვიგონოთ მიკროდუეტი I სურათში „ხერხი სჯობია ღონესა“, დევების კომიკურ-გროტესკული სექსტეტი, ასეთივე „სუფრული“ და სხვ.).

კარგია ლიტერატურული ტექსტი (ავტორი ს. ჭეიშვილი), რომელშიც ბუნებრივად არის ჩართული ხალხური თქმები და ანდაზები. გაუმართლებლად მიმაჩნია მხოლოდ ერთ-ერთი დევის რეპლიკა დირიჟორისადმი (?!)— „მაესტრო!“.

მაღალ შეფასებას იმსახურებს — რეჟისორ თ. აბაშიძის ნამუშევარი. დიდი სიამოვნება მომანიჭა მ. მალაზონიას ნიჭიერმა მხატვრობამ. ეს ეხება როგორც ძალზე კოლორიტულ, შერეული ტექნიკით შესრულებულ თემატურ ფარდას, ისე კოსტიუმებსა და დეკორაციებს. კ. ძნელაძის მიერ დადგმული ცეკვები სპექტაკლის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ოპერის საკმაოდ რთული და დიფერენციული პარტიტურა სერიოზული მხატვრული სიძნელეების წინაშე აყენებდა ახალგაზრდა დირიჟორს ი. ჭიაურელს და მან წარმატებით გაართვა თავი ამ ამოცანას.

შემსრულებელთაგან პირველ რიგში გამოვყოფთ აშკარად ნიჭიერ თ. გუგუშვილ-ნაცარქექიას (სასურველია რომ მან მეტი ყურადღება მიაქციოს დიქციას) და ტ. ჭიჭინაძე — ბაყბაყდევს, აგრეთვე დევების მთელ „სექსტეტს“, მოწოდების სიმაღლეზე არიან აგრეთვე მ. დავითაშვილი (მზეთუნახავი), ე. გარსევანიშვილი (რძალი), ტ. ჭანტურია (გოგო), ვ. ჩიქოვანი (ბიჭი).

**მ. ახმეტელი,**
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

**ოპერადქცეული** ჩვენი უბერებელი ზღაპარი „ნაცარქექია“ გულით გაახარებს პატარებს, საოპერო თეატრისადმი ლტოლვას, ინტერესს, სიყვარულს გაალვიძებს. სწორედ ამ მისწრაფებამ გამსჭვალა სპექტაკლის ყოველი კომპონენტი — მუსიკა, სცენოგრაფია, რეჟისურა და ქორეოგრაფია, მსახიობთა თამაში, სიმღერა, ცეკვა — გზნებით, მხიარულებით, არტისტიზმით, წრფელი იუმორით... მთავარია ის, რომ ეს თვისებები ერწყმიან ოპერის სადა მუსიკალურ ენას, პოპულარულ მელოდიურ ინტონაციებს, მარტივ მუსიკალურ ფორმებსა და სტრუქტურებს, ერწყმიან სპექტაკლის მართალ, „სერიოზულ“ ტონს, რაც ბავშვებისათვის სავსებით გასაგებსა და დამაჯერებელს ხდის ზღაპრის ფანტასტიკურ სამყაროს, პერსონაჟებს, იმ ნაირ-ნაირ მახვილგონივრულ სიტუაციებს, საიდანაც გმირად ქცეული ყოყლოჩინა ნაცარქექიას ნიჭიერება გამოსჭვივის.

და მაინც, სპექტაკლის მთავარი ღირსება მისი აღმზრდელობითი დანიშნულებაა. ამ ამოცანის განსახორციელებლად ოპერის ავტორებმა და დამდგმელებმა გონივრული გზა აირჩიეს. მათ ზღაპრის შინაარსის გასახსნელად მოიშველიეს შესანიშნავი ნიმუშები მრავალსაუკუნოვანი ეროვნული შემოქმედებისა, რითაც პატარები ძალდაუტანებლად აზიარეს ქართული მუსიკის, თეატრის, სახვითი თუ ქორეოგრაფიული ხელოვნების, ქართული სიტყვის ძალის და მადლს. სერგო ჭეიშვილმა ოპერის ლიბრეტოში, პოპულარულ საბავშვო ლექსებთან ერთად ჩააქსოვა ანდაზები, აფორიზმებად ქცეული მოსწრებული გამონათქვამები. კომპოზიტორმა მერი დავითაშვილმა ეროვნულ მუსიკალურ სტილისტიკასთან ერთად შემოქმედებითად გამოიყენა ციტატები ქართული ხალხური პოლიფონიური სიმღერებისა (მეგრული სახუმარო სიმღერა „ჯან, სულო“, კახური სუფრული „მასპინძელსა მხიარულსა“, კრიმანჭულის ელემენტები), ასე შესანიშნავად რომ აცოცხლებენ პერსონაჟებსა და სიტუაციებს. მხატვარმა მამია მალაზონიამ მიმართა მამუკა თავაქარაშვილის მინიატურებს — „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირების უნიკალურ ნიმუშებს, რომელთა ფერწერულ-კოლორიტული და ორნამენტული მოტივების ნატიფმა ვარირებამ სპექტაკლს მაღალი ესთეტიკურობა მიანიჭა. შემოქმედებითი ფანტაზიით, დახვეწილი გემოვნებით, პოეტური ხატოვნებით აღბეჭდილმა დეკორაციებმა, კოსტიუმებმა, რეკვიზიტმა ერთდროულად ზღაპრულობის მშვენიერი ილუზიაც შექმნეს, კონკრეტულ ცხოვრებისეულ სახეებზეც მიგვანიშნეს, გაამახვილეს სპექტაკლის სანახაობითი მხარეც. იუმორის გრძნობა გამოსჭვივის დევებისათვის განკუთვნილი მხიარული, ლამაზი კოსტიუმებიდან, ეროვნული გროტესკული სტილით გადაწყვეტილი ნიღბებიდანაც.

საგანგებოდ არის აღსანიშნავი დეკორაციების, კოსტიუმების, რეკვიზიტის დამზადების მაღალი ხარისხიც, რაც სპექტაკლის კულტურის პირობაა და ასე იშვიათად ვხვდებით ჩვენს საოპერო თეატრში. ქორეოგრაფმა კუკური ძნელაძემ კი მსახიობთა მიხრა-მოხრა, მოძრაობა, ქცევები გამსჭვალა ეროვნული სახასიათო პლასტიკური ინტონაციებით, ქართული ხალხური ქორეოგრაფიიდან მოტანილი, ზომიერად და მოხდენილად პაროდირებული საცეკვაო სახეებით („ხორუმის“, „განდაგანას“, „ქართულის“ ილეთები), რითაც მიაღწია პერსონაჟთა ინდივიდუალიზაციას, რეჟისორ თეიმურაზ აბაშიძის მიერ აგებული სხარტი და მეტყველი მიზანსცენებისა და სიტუაციების დინამიკას, მათ არტისტულ გათამაშებას. ამითვე მოახდინა კომედიური ეფექტიც. ყოველივე ამის წყალობით გამოვლინდა მომღერალთა ანსამბლის, განსაკუთრებით კი ნაცარქექიას როლის შესანიშნავი შემსრულებლის — თემურ გუგუშვილისა და დევების შემსრულებელი მსახიობების არტისტიზმი.

ერთი სიტყვით, საბავშვო ოპერა-ზღაპრის „ნაცარქექიას“ ავტორებმა და დამდგმელებმა ღრმად გაიაზრეს ის დიდი მისია, რომელიც ყმაწვილებისთვის განკუთვნილ ხელოვნებას აკისრია.

**სურათზე:** სცენა ოპერიდან „ნაცარქექია“. ნაცარქექია — თ. გუგუშვილი, მზეთუნახავი — მ. დავითაშვილი.

გ. გოგოხიას ფოტო.

## რა მოვისმინოთ



**საქართველოს რადიოს 31 ივლისიდან 5 აგვისტომდე გადაცემები**

### 31 ივლისი

**პირველი პროგრამით:** 06.10 — უკანასკნელი ცნობები, 08.35 — ეკრანის მელოდიები, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ა. ბუკია — ოპერა „არსენა“. ნაწყვეტები, 11.10 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა ქართულ ენაზე, 11.20 — ნ. პეიკო მეორე სიმებიანი კვარტეტი, 11.40 — „პროპაგანდისტი“ — რადიონარკვევი, 12.15 — ვალსები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — კ. ნადირაძის ლექსები, 12.30 — მღერის „ცისფერი ტრიო“, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 13.40 — ლ. ზიკინას კონცერტი, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. გ. ლეონიძე — „ნატვრის ხე“ (გაგრძელება), 14.20 — ოსური მუსიკის კონცერტი, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — გ. კოკელაძე — კამერული ნაწარმოებები, 17.35 — მოსწავლეთათვის — კონცერტი“ თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება (კონცერტი), 19.00 — ჩვენი გადაცემების კვალდაკვალ, 19.20 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.28 — სპექტაკლის უჩინარი მონაწილენი, 21.00 — ძილისპირული, 21.15 — რადიოსადგური „სიჭაბუკე“, 22.00 — კონცერტი ნ. ჟამსაშვილის ნაწარმოებებიდან, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — „სსრ კავშირის ხალხთა VII ზაფხულის სპარტაკიადაზე“. (სპორტული დღიური), 23.40 — დუეტები ოპერეტებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

### 1 აგვისტო

**პირველი პროგრამით:** 06.10 — უკანასკნელი ცნობები, 07.30 — „დილის კონცერტი“, 08.35 — მსოფლიოს ხალხთა მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — მ. ფარცხალაძე — პიესა სიმებიანი კვარტეტისათვის, 11.10 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა ქართულ ენაზე, 11.20 — ვ. იუროვსკი — ბალეტ „ალისფერი იალქნების“ ფრაგმენტები, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — „პარტიული ცხოვრება“. საუბარი „მომხვეჭელობასა და მექრთამეობას — უკომპრომისო ბრძოლა“, 12.15 — საესტრადო რიტმები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ლ. ასათიანის ლექსები, 12.30 — უკრავს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კამერული ორკესტრი, 13.00 — დრო, მოვლენები, ადამიანები (მ.), 13.40 — ი. ბობოხიძე — სიმღერები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. გ. ლეონიძე — „ნატვრის ხე“ (გაგრძელება), 14.20 — ს. რახმანინოვი — რომანსები და საფორტეპიანო პიესები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ჯ. გერშვინი — ოპერა „პორგი და ბესი“ (ნაწყვეტები), 17.40 — ყველაზე პატარებისათვის — რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება (კონცერტი), 19.00 — გ. აბაშიძე — „ჩემი ცხოვრების ოქროს ვენახი“. ლექსები, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“ (ბაქოდან), 21.00 — ძილისპირული, 21.15 — ახალგაზრდობისათვის — „სად დავუშვით შეცდომა?“, 21.30 — მუსიკალური ივლისი (მიმოხილვა), 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — „სსრ კავშირის ხალხთა VII ზაფხულის სპარტაკიადაზე“ (სპორტული დღიური), 23.40 — რეგტაიმები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

### 2 აგვისტო

**პირველი პროგრამით:** 06.10 — უკანასკნელი ცნობები, 06.50 — სოფლის დილა, 07.30 — დილის კონცერტი, 08.35 — მსუბუქი მუსიკა, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 11.10 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა ქართულ ენაზე, 11.20 — ი. ტუსკია — ვოკალურ-სიმფონიური პოემა „ბაზალეთის ტბა“, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — „რას ნიშნავს ენერგეტიკული კრიზისი?“ (პასუხი რადიომსმენელთა შეკითხვაზე), 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — მღერის ანსამბლი „75“, 12.25 — სცენის ოსტატები, 12.35 — დ. სკარლატი — საფორტეპიანო სონატები, 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — მიკროფონთან არის საქართველოს რადიო-ტელევიზიის ვოკალური ოქტეტი, 13.40 — ვ. ატლანტოვის კონცერტი, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. გ. ლეონიძე — „ნატვრის ხე“ (გაგრძელება), 14.20 — რუსული საოპერო მუსიკა, 15.00 — კონცერტი კ. დებიუსის ნაწარმოებებიდან, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.35 — მოსწავლეთათვის. „წიგნის თარო“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი — „სსრ კავშირში ერებისა და ეროვნებათა ერთიანობა სოციალიზმის მონაპოვარია“, 19.20 — ვ. მოცარტი — ფანტაზია დო მინორი, 19.20 — უკანასკნელი ცნობები, 19.40 — ეკრანის მელოდიები, 20.30 — „მწერალი მიკროფონთან“ — ნ. გაბრიჩიძე, 21.00 — ძილისპირული, 21.15 — ჯ. ვერდი — საოპერო მუსიკა, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — „სსრ კავშირის ხალხთა VII ზაფხულის სპარტაკიადაზე“ (სპორტული დღიური), 23.40 — მღერის ნ. ბრეგვაძე, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

### 3 აგვისტო

**პირველი პროგრამით:** 06.10 — უკანასკნელი ცნობები, 06.50 — სოფლის დილა, 07.30 — დილის კონცერტი, 08.35 — მელოდიიდან მელოდიამდე, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — მღერიან დები ჩაფიჩაძეები, 11.10 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა ქართულ ენაზე, 11.20 — ს. ცინცაძე — „რაფსოდია ძველ თბილისურ ჰანგებზე“, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — მხიარული რიტმები, 12.30 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.35 კონცერტი, 13.50 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 14.00 — კ. ლორთქიფანიძე — „ნატვრის თვალი“ (რადიოდადგმა), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება“ — უკრავს რ. ხუნწარია, 19.15 — ფ. კრეისლერი — კონცერტი ვიოლინოსა და სიმებიანი საკრავებისათვის, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.40 — ხალხური სიმღერები, 20.30 — ახალი ქართული რომანები (გადაცემა მესამე), 21.00 — ძილისპირული, 22.00 — რ. შუმანი — საფორტეპიანო კონცერტი, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — „სსრ კავშირის ხალხთა VII ზაფხულის სპარტაკიადაზე“ (სპორტული დღიური), 23.40 — ეკრანის მელოდიები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

### 4 აგვისტო

**პირველი პროგრამით:** 06.10 — უკანასკნელი ცნობები, 06.40 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.35 — ხალხური მუსიკის კონცერტი, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.15 — „გამარჯობა, ამხანაგო!“ (მ.), 11.20 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 12.00 — ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკები — ხუთწლედის ვახტზე, 13.40 — მღერის ანსამბლი „რუსთავი“, 14.00 — ჟ. ოფენბახი — ოპერეტა „მოგზაურობა მთვარეზე“, 15.15 — კ. კობერიძე — „ლალე“ (რადიოდადგმა), 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.50 — უკრავს ა. ივანოვკრამსკოი, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ბავშვებისათვის — კონცერტი-საუბარი „რა გვიამბო ბუხრის ჭრიჭინამ“, 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება (კონცერტი), 19.00 — მხიარულ ტალღაზე, 19.30 — კონცერტი ი. სიბელიუსის ნაწარმოებებიდან, 20.30 — „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები“ — სცენები სპექტაკლებიდან თამარ ჭავჭავაძის მონაწილეობით. 21.00 — ძილისპირული, 21.10 — ეკრანის მელოდიები, 21.30 — ახალგაზრდობისათვის — „საუბარს განაგრძობს რადიომსმენელი“, 22.00 — საღამო მშვიდობისა!“, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — „სსრ კავშირის ხალხთა VII ზაფხულის სპარტაკიადაზე“ სპორტული დღიური), 23.40 — ქართული ოპერების საგუნდო სიმღერები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

### 5 აგვისტო

**პირველი პროგრამით:** 06.10 — უკანასკნელი ცნობები, 06.40 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები, 80.00—გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.35 — ნაცნობი მელოდიები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.15 — „დილა მშვიდობისა! (მ), 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — მუსიკალური რადიოაფიშა, 12.15 — „პოეტი მიკროფონთან“ — მ. ლებანიძე, 12.30 —მ. იაშვილის კონცერტი, 13.30 — ახალგაზრდობისათვის. მუსიკის საათი“, 14.30—„ფიზკულტურა და სპორტი“. რადიოჟურნალი, 15.00 — მეგობრობის კონცერტი (ერევნიდან), 15.30 — მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში, 15.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.00 — სსრ კავშირის ხალხთა VII ზაფხულის სპარტაკიადის საზეიმო დახურვა. ტრანსლაცია ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონიდან, 19.00 — უკანასკნელი ცნობები, 19.05 — კონცერტი რკინიგზელთა თხოვნით, 20.30 — „მოთხრობები რკინიგზელებზე“ (რადიოდადგმა), 22.10 — ძველებური მუსიკის კონცერტი, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — ქართული კინოფილმების მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

## ტელევიზია

### 31 ივლისი

**პირველი პროგრამით**

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ), 09.40 — „სსრ კავშირის ხალხთა VII ზაფხულის სპარტაკიადის დღიური“ (მ), 16.25 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა (ფ.), 16.55 — განცხადებები (ფ.); 17.00 — „სსრ კავშირის ხალხთა VII ზაფხულის სპარტაკიადაზე“ (მ), 18.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „უნივერსიტეტი“, 18.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.00 — „ოქროპირი“ — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი (ფ.), 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — „ივენანა“ — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის (ფ.) 21.30 „პოეზია“ — გრიგოლ აბაშიძე (ფ.) 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „სსრ კავშირის ხალხთა VII ზაფხულის სპარტაკიადაზე“ (მ.), 23.00 — სპორტული მიმოხილვა (ფ.).

**მეორე პროგრამით**

17.15 — „მომღერლის გახსენება“ — ანა ვარდიაშვილი. (ფ.), 17.40 — განცხადებები, 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.20 — მხატვრული ფილმი „ორშაბათიც გათენდება“.


## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე ბეჭდვის რესპუბლიკური სკოლა და ამ სკოლის ქუთაისის ფილიალი



**აცხადებს მიღებას 1979-1980 სასწავლო წლისათვის**

რესპუბლიკურ სკოლას და მის ფილიალს აქვთ ორი განყოფილება: სტენოგრაფიისა და მანქანაზე ბეჭდვის. სტენოგრაფიის განყოფილება ამზადებს სტენოგრაფისტებს, მდივან-სტენოგრაფისტებს, მანქანაზე ბეჭდვის განყოფილება კი მდივან-მემანქანეებს, სტენოგრაფიის მცოდნე მდივნებსა და საქმის მწარმოებლებს.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე მდედრობითი სქესის მოქალაქენი (აგრეთვე მამრობითი სქესის მოქალაქეთა მცირე ნაწილი).

სკოლასა და მის ფილიალში შემსვლელნი გამოცდას აბარებენ მშობლიურ ენაში (წერა).

ის პირნი, რომლებმაც საშუალო სკოლა ან საშუალო-სპეციალური სასწავლებელი დაამთავრეს ოქროს, ვერცხლის მედლებით ან წარჩინების დიპლომით, აგრეთვე უმაღლესი განათლების მქონე პირები, მიიღებიან უგამოცდოდ.

სტენოგრაფიის განყოფილებაზე სწავლების ვადა ორი წელი, მანქანაზე წერის განყოფილებაზე კი — ერთი წელი.

სკოლასა და ფილიალში შემსვლელმა პირმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები; განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ავტობიოგრაფია, ორი ფოტოსურათი.

მეცადინეობა — წარმოებას მოუწყვეტლივ და მოწყვეტით (დღისით და საღამოს).

**განცხადებები მიიღება 31 აგვისტომდე ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.**

გამოცდები მოეწყობა 28-დან 31 აგვისტომდე. სკოლაში შემსვლელმა გამოცდაზე თან უნდა იქონიოს პასპორტი.

**სკოლის მისამართია: თბილისი. კამოს ქ. № 52.**

**ფილიალის მისამართია: ქუთაისი, შაუმიანის ქ. № 1.**



КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 15506 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.